მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N7 (9151) | 10 მარტი. 2015 წელი | ფასი 50 თეთრი

2 საკონკურსო პოზიციები ცნობილია

... ის ჰრიორიტეტები, სოფელს მრძელვადიან სარგებლობაში რომ ექნება

2

8

"ოტალონის" გამარჯვებული მე-3 სკოლელი ქრისტინე თავაძეა

სამტრედიაში მიდიოდნი ხე, იქნებ, ხელმეტია, მაგრამ...

"ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ უკან!" _ რას უწინასწარმეტყველებენ "ნაციონალები" ხელისუფლებას

კობა ძიძიგური: "სამწუხაროდ, დავით გარეჯელის თავმდაბლობა არ აღმომაჩნდა"



ახალი ტრანსფორმატორი სრულ გარანტიას იძლევა

2

7

ღუდაშვილობა?..

„წარმოიდგინე, რომ ოვერლოდ ვჭვლ გოლი"

6

11

თამარი კვლავ ჩემპიონია

გზალუსწრლანი ქალბატონი

9

11

ელგუჯა ბალანჩივაძე _ საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი

სამტრედიელ მოჭიდაველებს კვლავ წარმატებები აქვთ

საკონკურსო პოზიციები ცნობილია

ნინო ნანიტაშვილი

4 მარტს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მორიგი სხდომა ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მანანა სირბილაძე, კომისიის წევრი ჯონი ნადირაძე და კომისიის სამდივნოს სრული შემადგენლობა. კომისიის ორი წევრი, დავით ბახტაძე და მერაბ თარგამაძე საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კიდევ ერთხელ შეაჯამა განვლილი პერიოდი, მიმდინარე მოვლენები ზოგადად დადებითად იქნა შეფასებული, თუმცა, იყო მცირეოდენი შენიშვნები, რაც მომდევნო კონკურსში გათვალისწინებული იქნება. დღის წესრიგი სამ ძირითად საკითხს მოიცავდა: პირველი, გამგეობის წერილობითი მომართვა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისადმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის 48 ვაკანტურ თანამდებობაზე; მეორე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ. კერძოდ, პირადი განცხადების საფუძველზე ნათია დოლიძეს ჩაენაცვლა სერგო კოპალეიშვილი. მესამე, მუნიციპალიტეტის გამგეობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცვლილებების შესახებ.

კომისიამ სამივე საკითხზე იმსჯელა. ღია კენჭისყრის შედეგად პირველ საკითხზე დავალება მიეცა სამდივნოს, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე ვაკანსიების შესაბამისად ასატვირთი მასალა მოამზადოს. სამდივნოს სამუშაოების ჩასატარებლად ერთი კვირის ვადა მიეცა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად, რაც კომისიამ შემდგომ მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს. სავარაუდოდ, კონკურსი მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყება. ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ის რაც დღეისათვის უკვე ცნობილია, ვაკანსიები გახლავთ, რომლებიც სხვადასხვა პოზიციებზე გამოცხადდა. გთავაზობთ სრულ სიას:

1. გამგებლის თანაშემწე _ 2;
2. სპეციალისტი ქალაქ სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 9;
3. გამგებლის წარმომადგენელი სოფელ დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში _ 1;
4. სპეციალისტი სოფელ დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
5. სპეციალისტი გომის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
6. სპეციალისტი სოფელ იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
7. სპეციალისტი დაბა კულაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
8. სპეციალისტი მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
9. სპეციალისტი ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 1;
10. სპეციალისტი ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
11. სპეციალისტი ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
12. სპეციალისტი საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
13. სპეციალისტი სოფელ გორმაღალის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 1;
14. სპეციალისტი ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 2;
15. სპეციალისტი ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 1;
16. სპეციალისტი სოფელ გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 1;
17. სპეციალისტი სოფელ ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში _ 1;
18. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი საკუთარი შემოსავლების აღრიცხვისა და შესრულების ზედამხედველობის საკითხებში _ 1;
19. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირების და საფინანსო ზედამხედველობის საკითხებში _ 1;
20. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების სპეციალისტი ფინანსური ანგარიშგების საკითხებში _ 1;
21. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების სპეციალისტი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში _ 1;
22. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის საკითხებში _ 1;
23. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში _ 1;
24. შესყიდვების, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის შესყიდვების, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში _ 1;
25. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი ჯანდაცვის საკითხებში _ 1;
26. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი სოციალურ საკითხებში _ 2;
27. სამხედრო სამსახურის სპეციალისტი _ 3.

... ის პრიორიტეტები, სოფელს მრძელვადიან სარგებლობაში რომ ექნება

ნინო ნანიტაშვილი

არ უნდა დაიგვიანონ, ტელეფონები დარბაზში შესვლისთანავე გამორთონ და საღეჭი რეზინები ურნაში ჩააგდონ! _ ორშაბათის ტრადიციული თათბირის ბოლოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტერიტორიულ ერთეულებში საკუთარ წარმომადგენლებს არა მეგობრული, არამედ ოფიციალური, პირველი პირის გაფრთხილება მისცა და თან დაამატა, კარებში დაცვა იქნება და დაწყებული თათბირის მსვლელობისას ვერავინ მოახერხებს სააქტო დარბაზში შესვლასო.

9 მარტის ორშაბათის ტრადიციული თათბირის მთავარი თემა კვლავ ვაუჩერების მოსახლეობაში დარიგების საკითხი იყო. ვალერიანე ფოცხვერია თვლის, რომ, მართალია, ვადა დეკემბრის ბოლოს იწურება, სასურველია, სამტრედიელებმა კუთვნილი ვაუჩერი მოკლე დროში მიიღონ. ამ უკანასკნელს ძირითადად ის ფაქტორი აფერხებს, რომ მუნიციპალიტეტში ბევრი სახლია დაკეტილი. ვალერიანე ფოცხვერიას ინტერესში დევს, გამგებლის წარმომადგენლებმა ყოველი ღონე იხმარონ, მოსახლეობიდან ნაკლები პრეტენზიები წამოვიდეს. ვაუჩერების დარიგების მაჩვენებლის პარალელურად ტერიტორიული ერთეულებიდან ინფორმაციები შემოვიდა მიმდინარე საგაზაფხულო ხვნის პროცესთან დაკავშირებით. ტემპს ღანირის თემი არ უჩივის. ამ დროისთვის სოფელში 30 ჰექტარი მიწაა დახნული. სამაგიეროდ, სოფლის მოსახლეობის გასაჭირი, ღამ-ღამობით ელექტროენერგიის გამორთვის ხშირი შემთხვევები ღანირში გამგებლის წარმომადგენელმა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე გაახმოვანა.

ხვნის პროცესი დაწყებულია ბაშიც. გაზიფიცირებასთან დაკავშირებული სამუშაოები ხარისხიანად მიმდინარეობს, თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგება ძნელი იქნება, თუ მოსაცდელი არ გაკეთდა და გზა არ მოიხრეშა. ბაშელები სოფლის ცენტრალური საავტომობილო გზის გაუმართაობით განსაკუთრებით მშრალ ამინდებში იჩაგრებიან, მძიმე ტექნიკის გადაადგილების შედეგად მტვერი უმოწყალოდ აბინძურებს სოფელს.

მომავალი ტრადიციული თათბირისთვის ვალერიანე ფოცხვერია დაბისა და სოფლების წარმომადგენლებისგან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალს დაელოდება: "თავი შევიკავოთ ისეთი სამუშაოების შერჩევაზე, რომელიც ერთწლიანი იქნება და მომდევნო წელს ხელში გაკეთებული არაფერი დაგვრჩება. მოხრეშვა არის დროებითი. მოვიფიქროთ და შევარჩიოთ ისეთი პრიორიტეტები, რომ გავანათოთ და გამოჩენილით თავი მოვიწონოთ".

სოფელს გრძელვადიან სარგებლობაში რომ ექნება".

ვალერიანე ფოცხვერიამ ზოგიერთ წარმომადგენელს არჩევანი დაუწუნა. კერძოდ, ღამის განათებაზე ფულის დახარჯვა: "არა მგონია, იმ დონეზე ვიყოთ, რომ გავანათოთ და გამოჩენილით თავი მოვიწონოთ".

სოფლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დიდი ჯიხაიშის წარმომადგენელს გაზიფიცირება მიაჩნია. ალექსანდრე ლეჟავამ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე აღმასრულებელი ხელისუფლების ყურადღება 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ მიწაში ჩადებული გაზის მილებზე მიაპყრო: "მახსოვს, "ნაციონალებმა" გვიან ღამით, არჩევნებამდე რომ მოესწროთ, გაზის მილები მიწაში ჩადეს, ამომყვანები არ დააყენეს ნორმალურად. საუბარია სერგეთის უბანში 2700 მეტრ და ყაზბეგის უბანში 1300 მეტრ მონაკვეთებზე, რომლებსაც "სოკარი" ხელს არ ჰკიდებს, უვარგისი გაკეთებულიაო".

"სოკარის" პოზიციას არ ითვალისწინებს ზურაბ გოგია. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ამბობს, რომ მას ექსპერტის პრეტენზია არა აქვს, სამუშაოები კარგად ან ცუდად შეაფასოს, თუმცა თავს ვალდებულად თვლის, დაინტერესებულ ადამიანებს განუმარტოს, რომ 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე დიდ ჯიხაიშში ჩადებულ მილებზე პროექტის მიხედვით ამომყვანები არ იყო გათვალისწინებული.

გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა თბილისში საზოგადოებრივ მაუწყებელში 8 მარტს გადაცემა "ეტალონში" სამტრედიელი ახალგაზრდების ჩაწერის შესახებ გააკეთა განცხადება და დასძინა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი სასახელოდ წარმოჩნდა. იქვე ტერიტორიულ ორგანოს წარმომადგენლებს ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის საქმიანობაზე მეტი ინფორმაციის მოძიება დაავალა.

ახალი ტრანსფორმატორი სრულ გარანტიას იძლევა

"ენერგო-პრო ჯორჯიას" სამტრედიის ოფისმა 4 მარტს საღამოს 11 საათზე მიიღო ინფორმაცია, მე-15 ფიდერზე მყოფ აბონენტებს, კერძოდ, "სოკარის" გაზგასამართ სადგურს, ადმინისტრაციულ შენობას, მიმდებარე ტერიტორიაზე ნაწილობრივ მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ. სამტრედიის ფილიალის მორიგე ბრიგადა შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდა. ელმომარაგება აღდგა, 303-119 ტრანსფორმატორიდან დაზიანებული ფაზა გამორთეს და აბონენტებზე ელექტროენერგიის მიწოდება მეორე ფაზიდან განახორციელეს.

აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას აქტიურ კონტროლს "ენერგო-პრო ჯორჯიას" სამტრედიის ფილიალის მენეჯერი გია ლეჟავა უწევდა. სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ ამ მდგომარეობაში ტრანსფორმატორის დატოვება დიდი ხნით აღარ იყო შესაძლებელი. ამდენად, მიმართეს სათავო ოფისს, საიდანაც ტრანსფორმატორის გამოცვლაზე დასტური მიიღეს.

5 მარტს სამტრედიაში ქუთაისიდან ახალი, 30 000 ათასი ლარის ღირებულების ტრანსფორმატორი ჩამოიტანეს. ცნობისათვის, აღნიშნული დანადგარი დგას ადმინისტრაციული სახლის შიგა ეზოში, სადაც აღდგენითი სამუშაოები 5 მარტს მიმდინარეობდა.

ალეკო გენძეხაძე, "ენერგო-პრო ჯორჯიას" სამტრედიის ფილიალის მთავარი ინჟინერი: "ჩვენი კომპანიის სასახელოდ მინდა, ვთქვა, რომ სამუშაოები საკმაოდ ოპერატიულად და მაღალი ხარისხით ჩატარდა. ამ საქმეში დამსახურებას ვერ დავუკარგავთ ოსტატს, თეიმურაზ მაჩიტიძეს და ელექტრიკოსებს, ჯუმბერ მელქაძეს, ნუგზარ რიჟვაძეს, გოჩა ოდილავაძეს, გოჩა გეგეშიძეს და გიზო ჯანელიძეს.

303-119 ტრანსფორმატორი საუკეთესო მდგომარეობაშია, დღევანდელი სიტუაცია გარანტიას გვაძლევს, ელექტროენერგია ხარისხიანად მიეწოდოს 100-მდე აბონენტს, მათ შორის არიან კომერციული ობიექტები, მოსახლეობა და ადმინისტრაციული შენობა.

შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ ელექტროენერგიის მიწოდებაში 400 კილოვატამპერიან ტრანსფორმატორზე მიბმულ მოსახლეობას პრობლემები აღარ შეექმნება".

ნინო ნანიტაშვილი

"ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ უკან!" – რას უწინასწარმეტყველებენ "ნაციონალები" ხელისუფლებას

ნინო ნანიტაშვილი

27 თებერვლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ხმაურიანი გამოდგა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცება. ოპოზიციამ დღის წესრიგის მიხედვით მე-5 საკითხის განხილვა მოისმინა, მაგრამ მხარი არ დაუჭირა. ვიდრე საკითხი კენჭისყრაზე დადგებოდა, იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის მოხსენებას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის კრიტიკული განცხადება მოჰყვა. ემზარ შუბლაძემ კონკრეტული ფაქტის მიმართ საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციის საერთო განწყობა გამოხატა. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ კოლეგებს 2014 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომა გაახსენა, სადაც ემზარ შუბლაძე კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ ქალაქსა და სოფლებში რწმუნებულების აპარატში სპეციალისტების შტატების გაუქმებისა:

"გახსოვთ, ალბათ, ამ ფაქტმა რა ვნებათაღელვა გამოიწვია საკრებულოში. თქვენ მაშინ ამტკიცებდით იმას, რომ სოფლის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტები საჭირონი არ არიანო. მინდა, გითხრათ, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობის" წევრები არ ყოფილან, ზოგს 1972 წელს ჰქონდა მუშაობა დაწყებული, ზოგს _ 1989 წელს. ამ წლების განმავლობაში ისინი მუშაობდნენ და უდიდესი გამოცდილება შეიძინეს. 2006 წელს, როცა რეფორმა ჩატარდა, ამ ადამიანებმა გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა. თქვენ მაშინ ბრძანეთ, რომ ეს შტატები არ იყო საჭირო, რომ ხდებოდა ოპტიმიზაცია, შეგიძლიათ, ამოიღოთ 2014 წლის 14 ივლისს ჩემი ნათქვამი სიტყვა, სადაც ხაზგასმით ვამბობდი, რომ ეს არის მიზანმიმართულად გაკეთებული, ხალხი გაყაროთ სახლში და "ქართულმა ოცნებამ" თავისი აქტივისტები დაასაქმოს ამ ადამიანების ადგილზე. 2014 წლის 29 ივლისამდე ატესტაციას ექვემდებარებოდნენ. თუ ისინი ატესტაციას გაივლიდნენ და წარმატებით ჩაბარებდნენ, ამ ხალხს ვერ გაათავისუფლებდით, ამიტომაც გაუშვით სახლებში.

თუ ოპტიმიზაცია იყო საჭირო, თითო-თითო შტატი დაგეტოვებინათ. ჩვენს ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ "ნაციონალური მოძრაობიდან" ერთადერთმა ადამიანმა მიიღო კონკურსში მონაწილეობა გომის თემიდან. მამუკა ნიკოლეიშვილს ქულებიც მეტი ჰქონდა, გამოცდილებაც მეტი ჰქონდა რწმუნებულად მუშაობის, კომისიამ კი "ქართული ოცნების" აქტივისტებზე" შეაჩერა არჩევანი. ეს არის თქვენი დიდი უბედურება. ეს ყველაფერი დაგიბრუნდებათ ბუმერანგივით უკან".

მართალია, უფრო ნაკლები სიმწვავით, მაგრამ მაინც 2014 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომაზე რწმუნებულების აპარატში სპეციალისტების შტატების გაუქმების წინააღმდეგ გამოხატული პოზიცია 2015 წლის 27 თებერვლის სხდომაზე კოლეგებს ავთანდილ სტურუამაც გაახსენა. "თვითმმართველობა ხალხს" პარტიული სიით საკრებულოში მოხვედრილ დეპუტატს მაშინაც და დღესაც შეცდომად მიაჩნია სპეციალისტების სახლში გაშვება. იმ დღეს ავთანდილ სტურუას შენიშვნები ჰქონდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობასთანაც:

"მე, პირადად, არა მაქვს პრეტენზია, მაგრამ სასურველი იქნებოდა, კომისიაში ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მაინც ყოფილიყო. მაგალითად, "ნაციონალური მოძრაობა". ის საკრებულოში უფრო მეტი დეპუტატით არის წარმოდგენილი. როდესაც იხილებოდა სოფლებში სპეციალისტების შტატების გაუქმება და იმ ხალხის სახლში გაშვების საკითხი, მეც ვიყავი წინააღმდეგი. მაშინ ჩემი მოკრძალებული თხოვნა იყო, დავფიქრებულიყავით, სანამ მივიღებდით საბოლოო გადაწყვეტილებას. ვიდრე დაინიშნებოდნენ ახლები, ეს ხალხი შეგვენარჩუნებინა ორი მიზეზის გამო პირველი, უფრო ეფექტური რომ ყოფილიყო რწმუნებულების მუშაობა სოფელში და მეორე, ამ ხალხს მიეღო ანაზღაურება. ჩემდა სამწუხაროდ, იმ დროს არ იქნა ჩემი მოხსნა გათვალისწინებული. დღეს ის შტატები ისევ გახდა საჭირო და ისევ მოვუბრუნდით ამ ხალხს. კარგია, რომ ვამატებთ, ამის წინააღმდეგი არა ვარ. გამგებლის ერთი წარმომადგენელი ნამდვილად ვერ გაართმევს იმ საქმიანობას თავს, რაც ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებშია საჭირო. თუმცა კარგი იქნებოდა, ეს ხალხი ამ დრომდე შეგვენარჩუნებინა, აეღოთ მათ ხელფასები".

კონკურსის მიმდინარეობა რომ უფრო მეტი გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო, ამაზე ოპოზიციონერ კოლეგას "რესპუბლიკელი" იმედა გოგავა აბსოლუტურად ეთანხმება. საკრებულოს სხდომაზე საკითხის ირგვლივ დისკუსიაში ისიც აქტიურად ჩაერთო. თუმცა, ემზარ შუბლაძეს რაშიც არ ეთანხმება ის არის, რომ საკუთარი აქტივისტების დასაქმებაში "ნაციონალებს" "ქართული ოცნება" ტოლს ვერასოდეს დაუდებს.

იმედა გოგავა:

"ის, რომ რეფორმა ჩასატარებელი იყო, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ძალიან ბევრი კადრი არა მარტო სოფლებში, ქალაქშიც შეზღუდული იყო. ფაქტობრივად ისე არ ხდებოდა ყველაფერი, როგორც ჩვენი კოლეგები ახლა გვიხატავენ სურათს. თუ არ იყავი სახელისუფლებო პარტიასთან, ვერავინ დაიწყებდა მუშაობას. მე, იცით, რა მიმაჩნია ამ რეფორმის მთავარ პრობლემად? მაშინ პირველად საკრებულოს სხდომაზე ვთქვი, რომ როცა ჩატარდება ატესტაციები, კონკურსები, იყოს ძალიან გამჭვირვალე. ვეთანხმები ემზარს იმაში, რომ ადამიანებმა მიიღეს 54, 55 ქულა. დაინიშნა 36 ქულიანი. მაშინ ჩვენ უნდა გვქონდეს, რაღაც ჩანაწერი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რის გამო მოხდა ასე. 54 ქულა მიიღო ჩემმა ერთმა წარმომადგენელმა და ვერ დაინიშნა. მას

აინტერესებს, თუ _ რატომ, რომ მეორე კონკურსში მიიღოს მონაწილეობა და გაითვალისწინოს".

ოპოზიციის შენიშვნებზე პასუხი აქვს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მომხსენებელს, მანანა სირბილაძეს:

"2015 წლის 9 იანვრის № 2 განკარგულებით დამტკიცებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა და "ნაციონალების" მხრიდან ატეხილი აჟიოტაჟი სრულიად უადგილო გახლდათ. თუ შენიშვნები ჰქონდათ, 9 იანვარს უნდა გაეცხადებინათ. ამ საკრებულოს სხდომაზე მოხდა მხოლოდ კორექტირება, კერძოდ, ორ სამსახურში ორ შტატს სახელი შეეცვალა. თუმცა, მაინც გიპასუხებთ, ცრუობს ემზარ შუბლაძე იმას, რომ ჩვენ სპეციალურად მოვახდინეთ ამ ხალხის სახლში გაშვება, მიუხედავად იმისა, ბევრი სახლში გასაშვები იყო, ვინაიდან შეგნებულად არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. მთავარი ის არის, რომ თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მთლიანად სამსახური გაუქმდა და არა რომელიმე სპეციალისტის შტატი.

გვქონდა რწმუნებულების ინსტიტუტი და ამჟამად გვაქვს წარმომადგენლების. იმ დროს არავის უთქვამს, რომ მომავალში სპეციალისტის შტატი არ შეიქმნებოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ არა იმ რაოდენობით, როგორც "ნაციონალებს" ჰქონდათ. რაც შეეხება მამუკა ნიკოლეიშვილის გომის თემში არ დანიშვნას და მის ნაცვლად ზაზა ნიკოლეიშვილზე არჩევანის შეჩერებას, ეს განაპირობა იმან, რომ, მიუხედავად მამუკას გამოცდილებისა, ზაზამ კომისიის წინაშე გაცილებით უკეთესად წარმოაჩინა თავი. შუბლაძის გამონათქვამი, რომ ზაზა ნიკოლეიშვილი "ოცნების" აქტივისტი იყო, ეს სიცრუეა. რაც შეეხება კომისიის გამჭვირვალობას, მას ესწრებოდა "სამართლიანი არჩევნების წარმომადგენელი. მახსოვს, ნინო შარაშენიძემ საშუალო შეფასება მისცა მამუკას, ხოლო კარგი _ ზაზა ნიკოლეიშვილს. რაც შეეხება 36 ქულიანზე პრეტენზიას კომისიის არც ერთ წევრს 36 ქულიანზე არ შეუჩერებია არჩევანი. აქვე მინდა, ვუპასუხო ემზარ შუბლაძეს ნეპოტიზმის თაობაზე: მე არ ვიცი, ვის ცოლებს გულისხმობდა, მაგრამ გადახედოს თავის ფრაქციას. მისი ფრაქციის წევრების მეუღლეები დღესაც მუშაობენ ამ შენობაში, ბევრიც მუშაობდა, რომლებიც თავიანთი განცხადებებით წავიდნენ სახლებში. ასე რომ, ძალიან რომ მოვინდომოთ, "ნაციონალებს" ნეპოტიზმში ვერც დავეწევით და გასწრებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი".

რას სთხოვს გურამ ლეთოდიანი მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნინო ნანიტაშვილი

2015 წლის 20 თებერვლის "სამტრედიის მაცნეს" მე-5 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "კანონს ვერც მე დავარღვევ და ვერც საკრებულო" მკითხველს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმაურიანი ბიუროს სხდომაზე მოვუთხრობდით. მაშინ ამის შესახებ განმარტება არ მიგვიცია. ამჯერად კი თავს ვალდებულად ვთვლი, საზოგადოებას განვუმარტო, რომ ჟურნალისტები ბიუროს სხდომებს არ ვესწრებით, რადგან ბიურო საკრებულოს სხდომაზე გასატან საკითხებს ამტკიცებს. თებერვლის ბიუროს სხდომა ამ კუთხით გამონაკლისი იყო, ვინაიდან აზა მელქაძის წარმომადგენლის, გურამ ლეთოდიანის მოთხოვნა გახლდათ, შეხვედრას მეც დავსწრებოდი. საგაზეთო სტატიაში დავწერე ის, რაც ჩემს თვალწინ მოხდა, ანუ საკითხი, რომელიც აზა მელქაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას მოჰყვა, ბიუროს საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად არ გაიტანა, მანანა სირბილაძემ ამის დასტურად საკუთარი მტკიცებულება წარმოადგინა, რომლის განმეორებასაც აღარ ვაპირებ, რადგან მკითხველს იმ სტატიაში დაწვრილებით მოვუთხრობდით. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ამ ფაქტმა განაწყენებული დატოვა ბატონი გურამი. იგი რამდენჯერმე მოვიდა რედაქციაში და გვთხოვა, მისთვის კიდევ ერთხელ დაგვეთმო გაზეთის ფურცლები და იმ მტკიცებულებების დაწერის უფლება მიგვეცა, რომლის საშუალებაც, როგორც თავად ამბობს, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მას არ მისცეს. ამდენად, გაზეთ "სამტრედიის მაცნე" კვლავ ინარჩუნებს გურამ ლეთოდიანისა და აზა მელქაძის პატივისცემას და საშუალებას ვაძლევთ

თავისი მტკიცებულებები გაზეთის ამ ნომრის საშუალებით გააცნოს იმ ადამიანებს, რომლებსაც შესაბამისი მტკიცებულებანი აქვთ. გააჩნიათ თუმცა, ამ შემთხვევაში იგი პირადად მე მომმართავს: "ქალბატონო ნინო, თქვენს სტატიაში აბსოლუტურად სწორად წარმოადგინეთ მანანა სირბილაძის პოზიცია აზა მელქაძის ადმინისტრაციული საჩივრის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. მე გიმტკიცებთ და ვამბობ, რომ მანანა სირბილაძემ დარღვია ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას ის პირები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული საჩივრის საგნის მომზადებაში, გამოცემაში, ანდა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, რომ მხარს უჭერენ ამ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. აქედან გამომდინარე, ბიუროს სხდომა ჩატარდა იმ პირების მონაწილეობით, რომლებსაც მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ ამ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში, რადგანაც კენჭისყრის შედეგად აღმოჩნდა, რომ თვით საკრებულოს თავმჯდომარისა და მანანა სირბილაძის მონაწილეობით ბიუროს ყველა წევრმა ხმა მისცა საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის შეტანის საწინააღმდეგოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრებულოს წევრები წინასწარ განზრახვით და შეგნებულად იცავდნენ წინანდელი ხელისუფლების იმ პირებს, რომლებმაც გამოსცეს არაკანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, 2007 წლის 23 თებერვლის № 58 განკარგულება და დააფუძნა ააიპ "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ბაღებისა და ბაგა-ბაღების გაერთიანება". საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების კანონის მე-16 მუხლის ექსკლუზიური უფლებამოსილების მეორე პუნქტის პ-ე ქვე პუნქტით "სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების" ააიპ-ები უნდა

შექმნილიყო და არა დაფუძნებულიყო. მათ დააფუძნეს. საკრებულოს ჰქონდა უფლება, შექმნის შემდეგ ეს ააიპ-ები რომ წარმოადგენდნენ წესდებას, ის წესდებები დაემტკიცებინა.

ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის № 60 მუხლის მე-2 ბ-ე პუნქტით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს არაუფლებამოსილი პირის მიერ. საკრებულო იყო უფლებამოსილი ორგანო, მისი თავმჯდომარე იყო უფლებამოსილი, გამოეცა განკარგულება სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ცალ-ცალკე ააიპ-ებად შექმნის შესახებ. როგორც ის დაფიქსირებულია ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვე პუნქტში. ქალბატონი მანანა სირბილაძე თავის მოხსენებით ბარათში განმარტავს, რომ უფლებამოსილმა საკრებულომ სწორად გამოიყენა კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის" შესახებ მე-7 მუხლი აღნიშნული ბრძანების გამოსაცემად და რომ მან სწორად დააფუძნა ააიპ-ი 2007 წლის 23 თებერვალს № 58 განკარგულებით.

ბიუროს სხდომამ უშუალოდ ის დანაშაული ჩაიდინა, რომ მოისმინა მანანა სირბილაძის მოხსენებითი ბარათი და იმის გამო, რომ მან წარმოადგინა ყალბი დოკუმენტი. ამას ვედავები ქალბატონ მანანას და ბიუროს, რომ ბიურომ, დაიჯერა ყალბი საბუთის შესახებ და არ მოისმინა გურამ ლეთოდიანის ის მტკიცებულებები, რომლებიც მას მოცემული აქვს ადმინისტრაციულ საჩივარში. ამის შემდეგ მე ვაპირებ, საკითხი დავაყენო საკრებულოში მანანა სირბილაძის წინააღმდეგ, მისი საკრებულოს კომისიიდან განთავისუფლების შესახებ იმის გამო, რომ მან შეცდომაში შეიყვანა საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიურო, არ მოამზადა საკითხი ზოგადადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. ამის შემდეგ მე ვთხოვ საკრებულოს, მოიწვიოს სხდომა და განიხილოს მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხი".

სამტრედიაში მილიონი ხე, იქნებ, ხელმეტია, მაგრამ...

თეა ბაბუნაშვილი

რამდენსაც შევწვდებით დავრგავთო, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა. მაშინვე, როგორც კი სეზონი დადგა, გამწვანების აქცია ისევ მოეწყო სამტრედიაში. კობა ძიძიგურმა ისიც განაცხადა, რომ მეწარმეებისგან შენიშვნა მიიღეს, რატომ ჩვენც არ გვრთავთ აქციაშიო და ამჯერად ნერგები, საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებმა რომ დარგეს, მათი შეძენილი გახლდათ. რამდენიმე მეწარმემ ცაიშის სანერგე მეურნეობაში ორასამდე ნერგი შეიძინა. ევკალიპტის ჯიში სპეციალურად შეარჩიეს სამტრედიისთვის, როგორც ჭარბწყლიანი ნიადაგისთვის. გზაგამტარი ხიდის მიმდებარედ, ლაშა თევზაძის სახელობის და "ნახალოვკაში" არსებულ სკვერებში ახალი ნარგავები დაირგო. რამდენიმე ძირი საფეხბურთო სტადიონზეც დაიტოვეს დასარგველად. აქციაში ქალაქის სკოლებიც ჩაერთვნენ. რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ განაცხადა, რომ ყველა სკოლა 10-10 ძირს დარგავს.

ინიციატივა კობა ძიძიგურს ეკუთვნის. ამბობს კიდეც, "შემოდგომის მერე, სეზონი დადგა თუ არა, კვლავ განვაახლეთ აქცია. ეს, სხვა თუ არაფერი, ჩვენი შვილების ეკოლოგიურად სუფთა ხვალინდელი დღისთვის არის საჭირო." კომპანია "საქართველოს ეთერზეთების" აღმასრულებელი დირექტორი მამუკა მგ-

ალობლიშვილი თან ახლდა ჩამოტანილ ნერგებს და შესაბამის რეკომენდაციებს იძლეოდა დარგვის პროცესში. მისგან გავიგეთ, რომ აქ სხვადასხვა დასახელების ევკალიპტის ჯიში იყო წარმოდგენილი, რომელიც შესანიშნავი წამალია ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, გარდა ამისა, ამ მცენარისგან მიღებული ზეთი მედიცინაში, პარფიუმერიასა და არაერთი საყოფაცხოვრებო პროდუქტის მისაღებად გამოიყენება. ბოლო პერიოდში ხშირად მიმართავენ ცაიშის სანერგე მეურნეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ნერგებისთვის, რაც ძალიან კარგი წამოწყებაა. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც საერთო ჯამში 40 ათასი ძირი ნერგი წაიღეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

"საკრებულოს ინიციატივას მხარი ავუბით და შემოდგომაზე დაგპირდით, რომ აქცია გაგრძელდებოდა და გაგრძელდა კედეც. ამჯერად ბიზნესმენებიც ჩაერთვნენ, შემდეგ მოსახლეობის ფართო ფენებსაც ჩავრთავთ. ეს, პირველ რიგში, ჩვენი ქალაქისთვის იქნება კარგი."_ განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ მას შემდეგ, რაც რამდენიმე ძირი ნერგი დარგო.

"ნახალოვკაში", სამტრედიის გულს რომ ეძახიან, პატარა სკვერია, სადაც, როგორც ქალაქის ტერიტორიულ ორგანოში გამგებლის წარმომადგენელმა, თენგიზ ცაგურიამ თქვა, ადრე არასდროს დარგულა ხეები. ამჯერად მანაც საკუთარი ხელით დარგო ნერგები და გაგვიმხილა, რომ რამდენიმე დღეში რგინიგზის დეპარტამენტი შეიძენს ნერგებს და თავად რკინიგზელები დარგავენ მათ რკინიგზის ძირძველ ქალაქში მდებარე ამ პატარა სკვერში.

გამწვანების აქცია არც პირველია და არც ბოლო იქნება სამტრედიაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დამრგველთა შორის მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ. პოლიტიკის რამენაირი ნაწილი თუ გახლდათ აღნიშნული აქცია, იმ დღეს არ გამოკვეთილა, ვფიქრობთ, არც არაფერ შუაში იყო ეს უკანასკნელი, უბრალოდ ხეები ირგვებოდა გაზაფხულის მოსვლასთან ერთად. ეს კი მოგვცემს შედეგს, რომლითაც პოლიტიკური სუნთქვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ადამიანური ნამდვილად არ გაუქნელდება პატარა ქალაქს.

ბუნების პატარა ქომაგებმა ნერგები დარგეს

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მომდევნო წლის წინანდელ მოწოდებას _ დავრგოთ ხეები, არაერთი ქართველი გამოეხმაურა. გაზაფხულდა და პატრიარქის მოწოდებას № 11 საჯარო სკოლელებიც გამოეხმაურნენ. დაწყებითების პედაგოგმა, თამარ ხვიჩიამ, თავის სადამრიგებლო მეოთხე პირველ კლასში კლასის საათის თემად აირჩია "ბუნების ქომაგი". გაკვეთილზე ორიგინალურად გააფორმეს კედელი, ხოლო 2 დღის წინ სკოლის ეზო მწვანე ნარგავებით დაამშვენეს. პატარებმა ხელები დიეკაპიწეს, ბარები ხელში აიღეს, სახლიდან მოტანილი ნერგები კი სკოლის ეზოს იმ ნაწილში დარგეს, რომელიც მათ დირექტორმა, ლენა ხაჟალიამ გამოუყო. პატარები პედაგოგებთან და სკოლის დირექტორთან ერთად ჩაებნენ ბუნების გამწვანების აქციაში და პირობა დაგვიდეს, რომ ვიდრე სკოლას დაამთავრებენ, თავადვე იზრუნებენ ამ ნარგავების გახარებაზე.

თამარ ხვიჩია: კლასში 14 მოსწავლეა, დეკემბერში ჩავატარეთ კლასის საათი, ყველა მათგანი ძალიან აქტიურობდა, რას ნიშნავს ბუნების დაცვა, გაფრთხილება, ქომაგობა, პატარებმა შესანიშნავად გააცნობიერეს. უამრავ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ მომავალში და აუცილებლად თქვენც მოგიწვევთ.

ლენა ხაჟალია: "ეს ტერიტორია კლასებმა გაინაწილეს, ყოველ გაზაფხულზე რგავენ ხეებს, ყვავილებს. ამ კლასმა ჩაატარა არაჩვეულებრივი ღონისძიება "ბუნების ქომაგი". პატარებმა მოიპოვეს მასალები, იმ ღონისძიების გაგრძელება დღევანდელი დღეა, ხედავთ, რა კარგად მუშაობენ თავადვე იზრუნებენ ნერგებმა რომ გაიხარონ, ამათ ბევრი უნარ-ჩვევა გამოუმუშავდებათ. შეეჩვევიან მცენარის სიყვარულს, ვისაც მცენარე უყვარს ის ბავშვი კეთილია. სიამოვნებით შემოვუერთდი ამ აქციას".

ნათია ნაცვლიშვილი

"დანერგე საქართველოში"

ლევან გაბელაია

ასე ჰქვია პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხელშეწყობას.

პროგრამა ითვალისწინებს: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რითაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამმუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, გაუმჯობესდება სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონე.

პროგრამის ფარგლებში მოხდება მაღალხარისხიანი სუფთა სანერგე მასალის (ნერგების) წარმოების მხარდაჭერა, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ბაღების გაშენების მსურველთათვის, იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალის შეთავაზება.

პროგრამის ამოცანაა: თანამედროვე სტანდარტების მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობის შექმნა.

მრავალწლიანი კულტურების, ახალი ბაღებისა და პლანტაციების გაშენება და სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით, გათვალისწინებულია, პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემდეგ, დამატებით გადაეცეთ საკუთრებაში საწამლი აპარატები.

პროგრამის _ "დანერგე საქართველოში" ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური ან ინდივიდუალური მეწარმე, საქართველოში დაფუძნებული საწარმო, მათ შორის რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

მიწის ნაკვეთს, სადაც მეურნეობის მოწყობაა დაგეგმილი, არ უნდა ედოს ყადაღა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მთელი რიგი შეღავათები, არის გარკვეული შეზღუდვებიც.

"მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხელშეწყობის პროგრამა "დანერგე საქართველოში" დროული და აუცილებელია, დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში". _ გვეუბნება სამსახურის უფროსი, ბატონი მამუკა კვანტალიანი.

დაბოლოს, პროგრამა მართლაც შეუწყობს ხელს საქართველოს მთასა და ბარში მრავალწლიანი კულტურების გაშენებას, რაც, გარდა იმისა, რომ დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზე, ეროვნული ტრადიციის გაგრძელებაც იქნება, საქართველოში მეხილეობის დარგის აღორძინებას რომ უკავშირდება.

რეპლიკა

ჩვენ ასე ვფიქრობთ...

ლევან გაბელაია

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს თმაჭაღარა დედაქალაქში შესაბამისი სანქციები შემოიღეს, განკუთვნილი ადგილების გარდა, განცხადებების, რეკლამების თვითნებური განთავსებისათვის.

არა, ნამდვილად არ მივესალმები იმას, რომ ლარის გაუფასურების გამო, ლარივით ნერვებდაჭიმულ თანაქალაქელებს ზედმეტი ჯარიმები დავუწესოთ, მაგრამ აუცილებელია (მერამდენედ ვწერთ ამ თემაზე, არავინ იცის), სამტრედიელებმაც ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოთ ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ განცხადებების, რეკლამების, აფიშების განთავსება ადმინისტრაციულ შენობაზე, ბოძებზე, კედლებზე, მგზავრთა მოსაცდელებზე... არ შეიძლება. ეს არც კულტურულია და ქალაქის იერსახეზეც უარყოფითად მოქმედებს.

გაზაფხულდა, უკვე გაბშირდება ქალაქში მასობრივ-შემეცნებითი, სპორტულ-კულტურული, ახალგაზრდული ღონისძიებები, ამდენად, აფიშები, განცხადებები სპეციალურად განკუთვნილ ადგილებზე უნდა განვათავსოთ და არა იქ, იმ სიმაღლეზე, რასაც და სადაც მივწვდებით.

ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ქალაქში ორი-სამი სააფიშე დაფის დადგმა? მოსაწონია კულტურის ცენტრის შენობის მინებზე უკულტუროდ მიწებებული აფიშები? კვლავ ვხვდებით ქალაქის ცენტრალურ ადგილებში უკვე ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა სააგიტაციო ფოტოებს, რომელთაც უხამსი წარწერებიც "ამშვენებენ". სხვებს რომ თავი დავანებოთ, თავად ფოტოზე გამოსახულნი ნუთუ ვერ ამჩნევენ ამას? იქნებ, ესეც აგიტაციად მიაჩნიათ? არ გვგონია.



ვიმედოვნებთ, სამტრედიის ხელისუფალთ არ დასჭირდებათ ზემოთ აღნიშნული ჯარიმების დაწესება. სამაგიეროდ, აუცილებლობა მოითხოვს, ქალაქში სააფიშე დაფები დაიდგას და მერე, სათქმელი, აქეთ შესადავებელი რაიღა არავის ექნება, ჯარიმებზე ფიქრიც გამართლებული იქნება.

ჩვენ ასე ვფიქრობთ, თქვენ?

კობა ძიძიგური: "სამწუხაროდ, დავით გარეჯელის თავმდაბლობა არ აღმომაჩნდა"

ნინო ნანიტაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური ერთი კვირის განმავლობაში წმინდა მიწას სტუმრობდა.

"ჩემი სულიერი მოძღვრის, მამა ანდრიას მხრიდან მქონდა შემოთავაზება იერუსალიმში გამგზავრებასთან დაკავშირებით. სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტი ანდრიას (კბილაშვილი) მრევლი ვარ. 1989 წლიდან სიამოვნებით მივიღე მამა ანდრიას შემოთავაზება და მასთან ერთად წმინდა მიწაზე გამგზავრებით დიდი ხნის ნატვრა ავისრულე". _ "სამტრედიის მაცნესთან" იერუსალიმურ შთაბეჭდილებებზე საუბარი ასე დაიწყო კობა ძიძიგურმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 12 თებერვალს დილით თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან თელავივში გაფრინდა. ტურისტული სააგენტო "ივერია-ტურის" მიერ ორგანიზებულ ჯგუფში კობა ძიძიგურთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, სულ 35 მართლმადიდებელი ქრისტიანი.

კობა ძიძიგური: "დავბინავდით იერუსალიმში, სასტუმრო "ინტერნაციონალში". სამი დღის განმავლობაში ამ სასტურმოდან ვმოძრაობდით და მოვილოცავდით წმინდა ადგილებს. გავედით ლიდაში წმინდა გიორგის საფლავზე, მოვინახულეთ მართალი ტაბითას მონასტერი. მრევლმა მის შესახებ წმინდა წერილიდან, სამოციქულოდან იცის, რომ პეტრე მოციქულმა მკვდრეთით აღადგინა მართალი ტაბითა. შემდეგ მოვილოცეთ წმინდა ზაქარიასა და ელისაბედის სახელობის მონასტერი, ვიყავით სვიმონ ღვთისმიმრქმელის სახელობის ტაძარში, ქართველებისათვის ძალიან ცნობილ და სასახელო ჯვრის მონასტერში, სადაც ისევ არის შემორჩენილი ქართული ფრესკები და ქართული წარწერები. დავათვალიერეთ გოდების კედელი, ვიყავით ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, მოვილოცეთ დავით მეფსალმუნის მონასტერი. ასევე, ბეთლემის მონასტერი, სადაც მაცხოვარი იშვა. ვიყავით თეოდოსი დიდის მონასტერში, სადაც არის ქართველი წმინდანის იოანე მოსხის განსასვენებელი, მისი ფრესკები და ხატები. მოვილოცეთ მწყემსების სახელობის მონასტერი, რომლებიც შობის ღამეს ქრისტეს შობის მახარობლად მოევლინენ ღვთისმშობელს. მოვილოცეთ წმინდა გერასიმე იორდანელის მონასტერი. ეს ის წმინდანია, რომელსაც ლომი ემორჩილებოდა და მის კურთხევას ასრულებდა. ავედით თაბორის მთაზე, სადაც დიდი განცხადება მოხდა ყოვლადწმინდა სამებისა.

ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ღვთისმშობლის საფლავის მოლოცვამ, ისე მოხდა, რომ სხვა მომლოცველთა ჯგუფები არ იყვნენ იმ დროს და დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ვიყავით ღვთისმშობლის საფლავთან და იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატთან; მოძღვრებმა პარაკლისი გადაიხადეს, სახარება წაიკითხეს და ქართული საგალობლები ისმოდა მთელი 2 საათის განმავლობაში ღვთისმშობლის განსასვენებელში...

მაცხოვრის საფლავთან რიგი იყო და შესვლაც მცირე ხნით მოვახერხეთ, მაგრამ იგრძნობა დიდი მადლი და ქრისტეს აღდგომის შეგრძნება, სასწაულებრივი ცეცხლის გადმოსვლის ბრწყინვალება მედგა თვალწინ...

ყველა წმინდა ადგილის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მე მინდა, მთავარი რამ ვთქვა, ჩვენ დავდიოდით იმ ადგილებზე, სადაც იესო ქრისტე დადიოდა მოციქულებთან ერთად, ასწავლიდა მათ და სასწაულებს ახდენდა. თითოეული ჩვენი ეს ნაბიჯი სახარებისეულ მოვლენებს გვახსენებდა. მოძღვრები, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ, ამა თუ იმ შესაბამის სახარებას კითხულობდნენ კონკრეტულ ადგილზე. ჩვენს თვალწინ ხატოვნად ისახებოდა ის მომენტები, რასაც უშუალოდ ქრტისტესდროინდელ იერუსალიმში ჰქონდა ადგილი. მოკლედ შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი კვირის მანძილზე "სახარებაში დავდიოდით". იყო საოცარი შეგრძნება იმ სიდიადისა, რასაც მაშინ მოციქულები განიცდიდნენ. რა თქმა უნდა, იმდენი თავმდაბლობა არ გამაჩნია, რაც დავით გარეჯელმა გამოხატა თავის დროზე, მან თავისი თავი არ ჩათვალა ღირსად, რომ ქრისტეს ნაკვალევზე ფეხი დაებიჯებინა, მაგრამ ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ მეღირსა ფეხი დამედგა იმ წმინდა მიწაზე, სადაც მაცხოვარი დააბიჯებდა".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა შთაბეჭდილების გაზიარების ბოლოს ჩვენს კითხვაზე, რა დაჯდა იერუსალიმში ტური, გვითხრა, რომ 1200 ამერიკული დოლარი, რომელიც საკუთარი ბიუჯეტიდან გაიღო: "მართალია, ეს არც თუ ისე მცირე თანხაა, რომელიც ჩემს მრავალშვილიან ოჯახს დავაკელი, მაგრამ, მიმაჩნია, რომ გაცილებით უფრო დიდი მადლი მივიღე, ვიდრე ამ თანხით ოჯახს შევუძენდი რაიმე მიწიერ ღირებულებას".

პასუხის პასუხი ბატონ ბორის ფოცხვერაშვილს

ბატონო ბორის!

დიდი ფიქრის შემდეგ, კითხვის ნიშნები რომ არ დარჩეს, ჩავთვალე, თქვენთვის მეპასუხა. უპირველესად, პირუთვნელად მოგახსენებთ მადლობას წერილისთვის, ასევე, მადლიერებას გამოვხატავ ყველას მიმართ, ვინც თავისი აზრი გამოხატა საკითხისადმი. რაც შეეხება თქვენს მოსაზრებას, "გულგატეხილი კაცის გამოძახილის" თაობაზე გეტყვით, რომ ეს ასე არ არის. ასე რომ იყოს, დუმილს ვამჯობინებდი, მაგრამ ხელებჩამოშვებული ნამდვილად არ ვარ. უნდა ვთქვა ისიც, რომ წარსული და აწმყო მომავლის გარეშე არ არსებობს და რომ ეს ასეა, მინდა მოვუხმო დიდ ქართველ მგოსნებს.

ილია: "ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?.. აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია"...

ვაჟა: "კვლავაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი"... თუნდაც, მისი, "ხმელი წიფელი". საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ხშირად შეგვახსენებს, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და რომ იგი გაბრწყინდება. ჩვენ ყოველდღიურად ლოცვებში უფალს შევთხოვთ: "პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს"... უფალი გვასწავლის: "მარცვალი დათესე, ხორბალი მოიმკე, გაცეხვე, პური გამოაცხვე _ იშრომე, იღვაწე და მოგეცემა".

ეს რაც სულიერებას ეხება. რაც შეეხება ინჟინრულ საკითხებს, მინდა გითხრათ, რომ მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება მდინარის ისეთი კალაპოტი, რომელიც 100 ათასი ტონა წყალწყვის გემს დაიტევს და ამას მტკიცება არ სჭირდება. ის კი არადა, ასეთი გემი ფოთის პორტში ვერ შედის, დრეიფზე დგება, ზღვაში იტვირთება და იცლება. სუფსის ტერმინალზე გემი ნაპირიდან 1 კილომეტრის მოშორებით ზღვაში იტვირთება.

მდინარეთა კალაპოტების გამოყენებას სხვა ინფრასტრუქტურა სჭირდება და ამის განმარტებას ერთი საგაზეთო პუბლიკაცია ვერ დაიტევს.

ბატონო ბორის, თქვენ წერილში მიანიშნებთ საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის, ბატონი გიგა ბათიაშვილის "კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულ წერილზე და აქცენტს აკეთებთ გამონათქვამზე: "თუ მოხერხდება". როცა მის წერილს ბოლომდე ჩაკითხავთ ნახავთ, რომ მას საკმაო ნაშრომები _ პროექტები აქვს, ასე რომ, მის მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს. ისიც უდავოა, ეს პროექტი საკმაო ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ამიტომაც ამბობს ბატონი გიგა: "თუ მოხერხდება". უნდა ვთქვა, რომ საკითხის სირთულეს ვაცნობიერებ, მთლად დილეტანტი არ ვარ, რადგანაც წლების მანძილზე ვმუშაობდი და ვემსახურებოდი ფოთის პორტის სანაპირო აკვატორიას. ეს საკითხები რომ კვლევას საჭიროებს, თავის წერილებში წერდნენ ინჟინრები: ანტონ გეგეშიძე, მამუკა ფრანგიშვილი, რაულ ხუჭუა.

რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, ზღვაოსნობის ჰიდროგრაფიასაც ვაცნობიერებთ. ნიკო ნიკოლაძეს ასე რომ ეფიქრა, ქალაქ ფოთს ვერ გააშენებდა. დიდმა პეტრე პირველმა პეტერბურგი ჭაობზე გააშენა და დღემდე არ დაძირულა, მომავალშიც არ დაიძირება. ჰოლანდიის ქალაქი ამსტერდამი, ზღვის დონის ნიშნულის დაბლაა, მაგრამ არ იძირება.

თქვენ აღნიშნავთ, რომ ჩვენს შეჭირვებულ ქვეყანას გრანდიოზული პროექტის განხორციელება არ ხელეწიფება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ უკვე არსებობს ანაკლიის გრანდიოზული პროექტი, მშენებლობა დაწყებულია. აქვე მინდა გავიხსენო ქართველი რეჟისორის რეზო ჩხეიძის ფილმი "ჯარისკაცის მამა," სადაც ქართველი ჯარისკაცი რუს ოფიცერს საყვედურობს: "ტი ტოლკო ვინოგრად კუშატ ლიუბიშ".

გერმანია ფერფლისგან აღდგა და მოწინავე ევროპული ქვეყანაა. ახლა ჩვენი წერილების მთავარი არსი არის, მოხდეს ბმა ანაკლიის მშენებარე პორტის და სამტრედიის სარკინიგზო კვანძის. როგორ მოხდება? სახმელეთო ტრანსპორტით, სამდინარო თუ რკინიგზის მაგისტრალით ეს საკითხთა-საკითხია. რაც შეეხება ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად გამართლებული იქნება. აქ უნდა ამოვიდეთ ადამიანების ფაქტორიდან, რადგანაც ეს იქნება, სასიცოცხლო არტერია არა მარტო სამტრედიისთვის, არამედ ქუთაისისთვის, იმერეთის მხარისთვის, გურიისთვის, სამეგრელოსთვისაც კი, მთლიანად დასავლეთ საქართველოსთვის. ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ მილიარდობით ამონაგები თანხა ექნება და თუ ამ რესურსის მცირე ნაწილს ქვეყნის შიგა სივრცეში შემოვიტანთ, ქვეყანა მოგებული დარჩება, რამეთუ დასავლეთ საქართველო ჩიხში არ მოექცევა.

ერთი საკითხიც დაფიქრებას საჭიროებს. ამას გვკარნახობს 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითი, როდესაც რუსეთმა საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები დაბომბა: თბილისის აეროპორტი, საავიაციო ქარხანა, კოპიტნარის აეროპორტი, სენაკის სამხედრო ბაზა, ფოთის პორტის საზღვაო აკვატორია, დაძირა გემები. ამიტომ მთლად მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ერთ წერტილში პორტის, აეროპორტისა და ტერმინალების თანაარსებობა. უპრიანი იქნება, ქვეყნის სხვადასხვა სივრცეში განთავსება, რომ ერთი წერტილოვანი დარტყმის შედეგად მთელი ინფრასტრუქტურა არ გამოვიდეს მწყობრიდან. რამდენად მიზანშეწონილია ანაკლიაში ახალი აეროპორტის მშენებლობა და დამატებითი ხარჯების გაწევა, მაშინ როდესაც სამტრედიასთან სულ 7 კილომეტრში კოპიტნარის აეროპორტია.

ბატონო ბორის!

წერილის ბოლოს წუხილს გამოვთქვამ, რომ თქვენ აზრს არ ითვალისწინებენ. არ მინდა ვთქვა, მაგრამ ამას თავადვე ამბობთ: "ჩარეცხილთა რიგში ჩაგვაყენესო". ყველა კაცს თვითონ გამოაქვს საკუთარ თავზე განაჩენი. ქართველები არ ვართ და ვერ ვიქნებით ჩარეცხილები.

რაც შეეხება, რომ არ მოეთხოვებათ ნიკო ნიკოლაძეობა და ვალიკო კოპალეიშვილობა, მით უმეტეს, ვერ იქნება წამებული ცოტნე დადიანი.

ვატყობ, გულგატეხილობა დაგჩემდათ. გიორგი მეორემ 16 წლის დავითი იმიტომ აკურთხა მეფედ, რომ მას სიბერე შემოეპარა. ერისკაცობა "ლომთა ხვედრია". ბუნებრივია, ყველა დემეტრე თავდადებული ვერ იქნება.

ალიტენკოვი,
ბიბ ბიჭიკრიშვილი

P.S. საზოგადოებამ მინდა იცოდეს, შეხვედრა მქონდა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, ბატონ დავით შავლიაშვილთან. ის საკითხით დაინტერესდა.

ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში!

მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებების მიუხედავად, რომელსაც მგზავრთა უსაფრთხო მოძრაობისათვის ატარებს რკინიგზის დეპარტამენტი, პრაქტიკაში ჯერ კიდევ აღირიცხება ადამიანთა მარცხი და მსხვერპლი რკინიგზაზე. ეს არა მარტო მატარებელთა ინტენსიური მოძრაობითაა გამოწვეული, არამედ, უმეტეს წილად, მოქალაქეთა მიერ მოძრაობის ელემენტარული წესების დაუცველობით. ბევრი მათგანი არ სარგებლობს რკინიგზაზე არსებული გადასასვლელი ხიდებით და არ გადადის იქ, სადაც გადასასვლელია დაწესებული.

ხშირად ავტომანქანის მძღოლები უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს _ დაუცველ გადასასვლელებზე არ შეაჩერებენ ხოლმე ავტომანქანას და არ რწმუნდებიან მოძრაობის სრულ უშიშროებაში, რაც ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებათ. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, ზოგიერთი გათამამებული მძღოლი შლაგბაუმით ჩაკეტილ გადასასვლესაც კი კვეთს და აშკარა საფრთხეში აგდებს არა მარტო საკუთარ, არამედ სხვათა სიცოცხლესაც. მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის გადასასვლელებზე დგას გამაფრთხილებელი და აკრძალავი ნიშნები, სამწუხაროდ, მაინც გვხდება ადამიანთა დაშავების ფაქტები და მსხვერპლის. აბაშაში, სამტრედიაში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქვალონში მოქალაქეები სასიკვდილოდ დაშავდნენ და სხვა.

რკინიგზაზე უსაფრთხო მოძრაობის მუშაკები ქმედით ზომებს იღებენ უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მომხდარი ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა უმრავლესობა რკინიგზის ზოლში სიფრთხილის წესების დაუცველობითაა გამოწვეული, რაც ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება, მოძრაობის ელემენტარული წესები არ დაიცვეს მძღოლებმა, რომლებიც ავტომანქანებით შეიჭრნენ რკინიგზის გადასასვლელზე სამტრედია-ქოლობნისა და ჯუმათი-ლანჩხუთის გადასარბენზე, რკინიგზის გადასასვლელებზე სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, რამოდენიმე კი დაშავდა. მართალია, ახლა ამ ფაქტებზე ლაპარაკი, ურმის გადაბრუნების შემდეგ, გზის გამოჩენას ნიშნავს, მაგრამ ჩვენ იმიტომაც მოვიყვანეთ აქ, რომ სერიოზულ გაფრთხილებად იქცეს ყველასთვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს, მოძრაობის წესების დაცვა თავიდან აგვაცილებს მსგავს სავალალო შედეგებს. რკინიგზის მთელ რიგ უბნებზე დაწესებულია მოძრაობის მაღალი სიჩქარე, რის გამოც მატარებლის უეცარი შეჩერება შეუძლებელია, საავარიო დამუხრუჭების დროსაც კი შემადგენლობა სრულ შეჩერებამდე კიდევ გაირბენს რამდენიმე ასეულ მეტრს. ეს კი ზრდის უბედურ შემთხვევათა მოხდენის საშიშროებას, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებსა და მთავარი სარკინიგზო მაგისტრალების საგარეუბნო ზონებში. თუ არ გვინდა, საფრთხეში ჩავიგდოთ საკუთარი სიცოცხლე, უნდა დავიცვათ შემდეგი აუცილებელი წესი; ვისარგებლოთ გადასასვლელი ხიდებით და ნუ გავძვრებით შემადგენლობის ქვეშ. ნუ ვივლით რკინიგზის ლიანდაგებში. ავტომანქანის მძღოლებმა რკინიგზის გადასასვლელებთან უნდა შეანელონ სვლა და დარწმუნდნენ სრულ უსაფრთხოებაში. ეს არის ელემენტარული წესები, რომელიც ყოველგვარი უსიამოვნებისაგან თავის დაზღვევის გარანტიას იძლევა.

რეზო შამათავა
მრეწველობის დაცვის ტექნიკური ინსპექტორი

„წარმოიდგინე, რომ ო

ოცოცხალ ვჭვ გულო“

ნათია ნაცვლიშვილი

3 მარტს, დედის დღეს, სამტრედიელებს ჰქონდათ პატივი, ქართული ესტრადის ნამდვილ ვარსკვლავებს შეხვედროდნენ. კარგა ხანია, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენა არ დაეშვენებინათ თემურ წიკლაურს, ნუგზარ კვაშალს, ვახტანგ ტატიშვილს, ნუგზარ ერგემლიძეს, ბესიკ კალანდაძეს, ზურაბ კობეშავიძეს, იუმორისტ ბიძინა მახარაძეს. კონცერტი საქველმოქმედო იყო და ივი მომღერალ ეთერ კაკულიას დახმარებას ისახავდა მიზნად. ასეთ კონცერტებს საქართველოს მრავალ ქალაქში მართავენ ქართული ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები. ჩვენს სტუმრებთან საუბარში ისიც გავარკვიეთ, რომ ზოგ მათგანს სამტრედიასთან ახლო კავშირებიც აქვთ, ჩვენი ქალაქისადმი საჯარო სიყვარულის გამოხატვაში კი სცენაზე გამომსვლელი ყველა მათგანი ერთმანეთს ეჯიბრებოდა.

კონცერტის წამყვანმა, უბერებელმა ''ივერიელმა'' ''ჯუჯამ'', ნუგზარ კვაშალმა, სცენიდან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას და კულტურის სამსახურის უფროსს, ნატალია

მანჯგალაძეს ამ საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზებაში გაწეული დახმარების გამო.

''დედებს ასმაგი ყურადღება, სიყვარული, სილამაზე სჭირდებათ, გილოცავთ დედის დღეს'', განაცხადა მომღერალმა და მეორე ''ჯუჯას'', ვახტანგ ტატიშვილს უხმო სცენაზე. ასევე დაიკავეს სცენა დარბაზში მსხდომმა პატარებმა ''ორად ორი მეგობარი'', ''სიყვარული მოვა, ჩემო თომა'', ''გუდა, გუდა, თოვლის გუნდა'' ''წვიმა იყო, გადაიღო'' _ ეს ყველასთვის ნაცნობი სიმღერები პატარებთან ერთად შეასრულეს.

ნუგზარ კვაშალმა სტუდია ''იმედის'' მიერ ცოტა ხნის წინ წარმოდგენილი ''ზხიკვთა ქორწილიც'' გაიხსენა, კომპლიმენტები არ დაიშურა ამ ანსამბლის მიმართ და გულისტკივილით აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ აუსრულა დანაპირები ''იმედელებს'' და ვერ მოახერხა თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მათი წარმოდგენის გამართვა. მიზეზი ისაა, რომ კულტურის სამინისტრომ მას წერილობით აცნობა, ფული არ გვაქვსო. ''უკულტურაა ის სამინისტრო, რომელიც ბავშვებს ასე ეპყრობა, მაგრამ იმედი დავიტოვოთ, ბავშვებო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა''. _ მიმართა მან სამტრედიელ პატარებს.

საკუთარი სიმღერებით წარსდგა მსმენელთა წინაშე მომღერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, ყოფილი დეპუტ-

ატი... ნუგზარ ერგემლიძე. მისმა ნამღერმა მაყურებელი სევდიან, მაგრამ საოცრად ლამაზ სამყაროში გადასტყორცნა. ''წარმოიდგინე, რომ აღარ არის დარდი...'', ''წარმოიდგინე, რომ ყველასა აქვს გული''... მერკანტილური გრძნობებით დამძიმებული საზოგადოება ამ ფრაზებმა ერთგვარად შეაფხიზლა. ''სამტრედიაში არის დედის დღე, თბილსში კი _ ჩემი დედის დღე'' _ ასეთი შესავალი ჰქონდა პაროდისტ ბიძინა მახარაძის გამოსვლას.

40 წელი გასულა ანსამბლ ''75-ის'' შექმნიდან. ასობით კონცერტი, გასტროლები, უამრავი ტაში და აღიარება... ამ ბიოგრაფიის ბესიკ კალანდაძისაგან სამტრედიელი მაყურებელი პარტერიდან ხმამაღლა ითხოვდა გაუხუნარი ''ტირიფების'' მოსმენას, მაგრამ მომღერალი სხვა სიმღერებით წრსდგა ამჯერად მსმენელის წინაშე. ''ჩემს ტუჩებს კი შენი თმების სურნელება ჰქონდა'', ''ნიკალა'' მის ამ სიმღერებსაც კარგად იცნობს ქართველი მსმენელი.

ნამდვილი ცეცხლი კი სცენაზე მომღერალმა ზურაბ კობეშავიძემ დაანთო, ''წუხელის ქალი მესიზმრა'', ''ო, რიო დეჟა'' _ ამ ჰანგებს სიხარულით და ემოციით აჰყვნენ პატარები და დიდ იხალისეს.

''სამტრედიელებს გაუმარჯოს!'' არაერთხელ მოგვესალმა მომღერალი. ქართული ესტრადის არწივის, თემურ წიკლაურის გამოჩენას სცენაზე განსაკუთრებული აპლოდისმენტები მოჰყვა. ''საქართველოს მანანებო'', ''გული არა ბერდება'', ნაწყვეტი მიუზიკლიდან ''ფიროსმანი'', ამ სიმღერებს დარბაზიც აჰყვა. ''ძალიან გვსურდა, სამტრედიაში ჩამოგვეტანა სპექტაკლი ''ფიროსმანი, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, დანანებით თქვა მომღერალმა. ბოლოდროინდელი რეპერტუარიდან შეასრულა ნუგზარ თუშიშვილის სიმღერა მუხრან მაჭავარიანის ლექსზე ''მზე ამოდიოდა''. განსაკუთრებით მომღერალი დედებს მოეფერა, მისმა დედის ხსოვნისადმი მიძღვნილმა სიმღერამ ''სიყვარულს ნუ დაამადლით დედებს'', დარბაზში მჯდომს ბევრს მოჰგვარა ცრემლი. შეიძლება თამამად ითქვას, ესაა ადამიანი, რომლის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით მრწამსს შესანიშნავად მიესადაგება სიტყვები მისივე სიმღერიდან: ''ჩემი ქვეყნის მთელი ჯავრი და ნაღველი ხანჯალივით გულში გამიტარებია''...

კონცერტის ბოლოს მომღერლებთან ინტერვიუები ჩავწერეთ:

თემურ წიკლაური:

''ქალაქებში: გორში, ფოთში, თბილისში უკვე ჩავატარეთ კონცერტები, ისინი ეთერ კაკულიას თანადგომისათვის იმართება, ამ ქალბატონს გვერდში დგომა უნდა. მან ბევრი გააკეთა საქართველოსთვის. ჩვენ შეგვიძლია, მას დავეხმაროთ და ამიტომ ვეხმარებით, ვისაც როგორ შეუძლია, ისე გააკეთებს სასიკეთო საქმეებს. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო და ასეთი თანადგომა დასჭირდა.

_ **დღეს ყველაზე მეტად თქვენ დაიხარჯეთ, ყველაზე მეტი სიმღერა თქვენ იმღერეთ...**

_ არა, რატომ? მეტი უნდა მემღერა, თუ იქნება შესაძლებლობა, აქ სოლო კონცერტიც ჩავატარო, სიამოვნებით მოვიდოდი და ჩავატარებდი.

_ **სამტრედიასთან რა ურთიერთობა გაკავშირებთ?**

_ როგორც მთელ საქართველოსთან, ისე სამტრედიასთან. აქ მშვენიერი წიწილებია, გემრიელი ხალხია, არაჩვეულებრივ დროს ვატარებდით, ''ივერიას'' არაერთი კონცერტი ჰქონია.

ვახტანგ ტატიშვილი:

_ გენაცვალე სამტრედიავ, მუდამ მზიანო, ხშირად ვყოფილვარ თქვენს ქალაქში, დღევანდელი დღეც ასევე მზიანია, კარგია და ლამაზი.

ნუგზარ ერგემლიძე:

აი, აგერ ჩემი ნათესავი ქალბატონი მოვიდა. ეწერი მამაჩემის დედულეთია, დედაჩემის მამულეთი კი იანეთი. ასე გაიცვნეს მეორე მსოფლიო ომის დროს ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი. მერე კი ისინი ბათუმში გადავიდნენ. ამიტომ მიყვარს სამტრედია. ხშირად ვყოფილვარ გასტროლებით სამტრედიაში 80-იანი წლებში აქ შემოქმედებითი საღამო მქონდა, მერე კონცერტი ჩავატარეთ ანსამბლ ''75''-თან ერთად. მაშინ სხვა გარემო იყო, მიხარია, რომ ახლა ეს დარბაზი გარემონტებულია და აქ სილამაზეა.

ნუგზარ კვაშალი:

_ **ბატონო ნუგზარ, რამდენად მუსიკალური ქალაქია, რამდენად კულტურულად დატვირთული ქალაქია სამტრედია?**

_ სამტრედია ყოვლთვის იყო მუსიკალურად და ძალიან ნიჭიერი ხალხით დატვირთული ქალაქი. ჩემი უამრავი მეგობარი მუსიკოსი ცხოვრობს აქ, ხშირად ჩამოვდიოდით, ეს ჩვენი სიყვარული დროს არ ექვემდებარება. რაც უნდა დრო გავიდეს და მთავრობები და პოლიტიკოსები გამოიცვალონ, ჩვენი სიყვარული და მეგობრობა ყოველთვის დარჩება. როგორ შეიძლება, დამავიწყდეს ჩემი ძველი მეგობარი, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარაა, ბორის ღლონტი, ჩემი ნანა ბიბიჩაძე, ჩემი უსაყვარლესი სამტრედიელი, იგი ჩემი და და დობილია, ბევრი კიდევ სხვა. სტუდია ''იმედმა'' ''ზხიკვთა ქორწილი'' დადგა, კულტურის სამინისტრო თითქმის არ-

აფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ ბავშვებს დავუდგე გვერდით, მაგრამ, არა უშავს, შევუფუცხუნებთ და რაღაცას გააკეთებენ. მშვიდობა, სიყვარული და სილამაზე სამტრედიას!

ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი:

_ მე მგონია, დედის დღისადმი მიძღვნილი ამ კონცერტით კარგი საჩუქარი გავუკეთეთ სამტრედიელებს. ჩვენი ლეგენდარული მომღერლები ჩამოვიდნენ, ჩემმა ბავშვობამ ამათ სიმღერებზე გაიარა. ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ არ ბერდებიან, სულ ფორმაში არიან, რა თქმა უნდა, გული არა ბერდება. მადლობა კონცერტის ორგანიზატორებს, სამტრედიელებს, ყველა დედას ვულოცავ დედის დღეს. პირველ რიგში, კი ჩემს დედიკოს.

ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი:

_ ვფიქრობ, ძალიან თბილი და ლამაზი საღამო გამოვიდა, ასე მივულოცეთ 3 მარტი ჩვენს დედებს, ჩვენს ქალბატონებს. მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს თითოეულ მომღერალს და მსახიობს ჩამოსვლისათვის და ამ საღამოს გამართვისათვის.

დედაშვილობა?..

თქვენ ვისთანა ხართ, ბიძია? _ ამ კითხვით 1990 წელს ეწრის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში სტუმრობისას მომმართა პატარა გოგონამ, რომელიც მისთვის უცხო ყველა ადამიანში საკუთარ მშობლებს ამაოდ ეძებდა.

დედამ შვილი უარყო...

უარყო დედამ დედაშვილობა...

უმწეო პატარები სახელმწიფომ შეიფარა...

ეს ჩვენი მწარე სინამდვილეა.

1990 წლიდან საუკუნის მეოთხედი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაში, საზოგადოების ცნობიერებაში. მიუსაფარ მოხუცთა თავშესაფრებით დაიქსელა ხელისგულისოდენა საქართველო.

2013 წლის მარტი.

დედის დღის მისალოცად მივიდნენ სათნოების სახლში ხელისუფლების წარმომადგენლები. ოთახები საოცარი ცნობისმოყვარეობით შემოვიარეთ. ირგვლივ საოცარი სიმშვიდეა. სათნოების სახლის სათნო ბინადართა თვალებიდან საოცარი სევდა იკითხება. მორიგ ოთახში შევედით, ქალბატონმა სახე საბანში დამალა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის ბებიას, რომელიც ერთ დროს პრესტიჟულ თანამდებობაზე მუშაობდა, სტუმართაგან ბევრი ვუცვნივართ და...

ხანდაზმულობისას იქცა მონაგარისათვის "ზედმეტ ტვირთად" მოხუცი და თავშესაფრის ბინადარიც გახდა.

შვილებმაც უარყვეს მშობლები...

ესეც ჩვენი მწარე სინამდვილეა...

მისი უდიდებულესობა მარტი მობრძანდა... ნაირფერად მოირთო და მოიჩითა მთა-ბარი, წყაროები აჩუხჩუხდნენ, ფრინველთ გაბეს საამო სიმღერა, მიწა აფუვდა, ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებს.

დიდი როლი შეასრულა კლარა ცეტკინისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევამ, 8 მარტის ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის აღნიშვნის ტრადიციად დამკვიდრებით რომ გამოიხატა. მერე მწერალმა და მეცნიერმა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოში სამი მარტი დედის დღედ გამოაცხადა.

ბოლო ხანებში საქართველოში განსჯადი გახდა ქალთა უფლებების დაცვის საკითხი, იმდენად განსჯადი, რომ ამ საკითხით არასამთავრობოები და სამართალდამცავები დაინტერესდნენ.

ფეხმძიმე ქალი მოკლა ქმარმა...

ესეც ჩვენი მწარე სინამდვილეა.

ბევრს არ გავაგრძელებთ. ერთს ვიტყვით მხოლოდ, არ უნდა იყოს საჭირო შვილებს მშობლების სიყვარული, მშობლებს უმწეო შვილებზე მზრუნველობა რომ შევახსენოთ.

ერის სულიერი წინამძღოლის თქმისა არ იყოს დედაშვილობაში შენ-ჩემობა რად უნდა არსებობდეს?

დაბოლოს, გაზაფხულის მობრძანებას, ქალთა დღესასწაულებს ვულოცავთ ძვირფას დედებს, დებს, მეუღლეებს, მეგობრებს.

ვულოცავთ შვილებისგან უარყოფილ დედებსა და მშობლების ალერსს, ოჯახურ სითბოს მოკლებულ პატარა ქალბატონებს.

ლევან გაბაჩავა

შენს ხასიათს შვენისო მარტი

თეა ბაბუნაშვილი

მარტმაც ააფრიალა ტყემლის ფურცლით და იით მოქარგული ბაირაღი. მიწის სურნელით შემოაბიჯა გაზაფხულმა. რა არ უთქვამთ, და ისიც, შენს ხასიათს შვენისო მარტი, სწორედ მათი ჭირვეულობით მოხიბლულ მამაკაცებს ქალებისთვის. საკუთარ გულთან ერთად ეს თვეც უსახსოვრეს და ფრაზით, ფუნჯით თუ საჭრეთელით არაერთხელ გამოსახეს სულის გამოძახილად დედა თუ სატრფო.

საგამოფენო დარბაზში სამტრედიელებმა ქალისადმი მიძღვნილი გამოფენით აღნიშნეს გაზაფხულის შემობრძანება. სამხატვრო გალერეის დირექტორის, ნინო ნინუას ინიციატივით აქ გამოფენა გაიხსნა, რომელმაც სამტრედიელი მხატვრების შემოქმედებაში ქალის სახე გახადა ცნობილი დამთვალიერებლისთვის. "ასე გაზაფხულის შემოსვლა აღვნიშნეთ, რამეთუ გაზაფხული და ქალი ერთმანეთთან ასოცირდება."_აღნიშნა ნინო ნინუამ. იმ გამოფენაზე, სამტრედიელი მხატვრების გარდა, გალერეის ფონდში დაცული გასული საუკუნის 40-70-იანი წლების პოსტსაბჭოთა სივრცის მხატვრების რამდენიმე ნამუშევარი იხილა. სამტრედიელი მხატვრებიდან კი, გივი ფრანგიშვილის, გიორგი შუბლაძის, გივი წვერავას, თეონა გეგუჩაძის, ზაზა ღურბელეიშვილის, გიორგი და გივი ვაშაკიძეების, თეა კარტოზიას, ჯემალ ტაბიძის ტილოები გახლდათ წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ღონისძიების მოწყობის მოტივი დასუფთავების სამსახურში დასაქმებული ქალბატონებისთვის ერთი დღის გალამაზებაც იყო. იმ ღონისძიებაზე სწორედ ეს ქალბატონები მოიწვიეს და მათთვის პატარა კონცერტი გამართეს.

"ღონისძიება 8 მარტს უნდა გაგვემართა, მაგრამ საპატიო მიზეზით გადაიდო, "ეტალონის" ჩაწერაზე გახლდით თბილისში. დღეს ისეთი დიდი მასშტაბი არ აქვს მას, როგორც ჩაფიქრებული იყო, მაგრამ მაინც აღვნიშნეთ ეს დღე. ბევრი მხატვრის ნამუშევარმა დაამშვენა დარბაზი. მეეზოვე ქალბატონები მოვიწვიეთ, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ მათი შრომა ყველაზე დასაფასებელია."_ ბრძანა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა. გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ მისასალმებელ სიტყვაში კიდევ ერთხელ აღნიშნა ამ ქალბატონების დაშსახურებაზე საზოგადოების წინაშე და ქალაქის საკეთილდღეოდ. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მათ, რადგან "ბოლო პერიოდში სამტრედია ნამდვილად გამოირჩევა სისუფთავით. ეს კი თქვენი დამსახურებაა, ქალბატონებო! ამ ჩუმი შრომისა და მონდომებისთვის მიიღეთ ჩვენგან უდიდესი მადლიერება."_ აღნიშნა გამგებელმა.

თვეების მანძილზე უმუშავია თითოეულ ტილოზე თეა კარტოზიას და ფერადი ძაფებით დაქარგული საკუთარი სამყარო იმ დღეს დამთვალიერებლის სამსჯავროზე გამოიტანა. მუზა მომიყვანა ამ გამოფენამო, გაეცინა და სამომავლოდ კვლავ ახალი ნამუშევრები დაჰპირდა გულშემატკივრებს.

"ქალი ყველაზე დიდი სტიმული და მუზაა შემოქმედისთვის. გაზაფხული, ხელოვნება და ქალი სამი მშვენიერებაა და ბუნებრივია, ასე თქვას ხელოვანმა მისი სათქმელი."_ მხატვარმა ჯემალ ტაბიძემ ამ სიტყვებს საკუთარი ლექსი მოაყოლა მზით გამთბარი სიყვარულით სავსე სტროფებით.

გაზაფხულის სურნელით სავსე ჰაერს განწყობაც უერთდებოდა, საგაზაფხულო, იმ დარბაზში ფერებად გამოფენილი. და თუ ყველა დღე სიყვარულისთვის შეჰქმნა უფალმა, ის ერთი დღეც სიყვარულის გახლდათ, ფუნჯით ნათქვამი სათქმელით გამხელილი სიყვარულის.

იანეთის საჯარო სკოლელები სათნოების სახლის ბინადრებთან

ესაა სახლი, სადაც სტუმრობას განსაკუთრებული მადლი აქვს. აქ ჩვენი მოხუცები გველოდებიან, ბევრი იქ მიმსვლელი საკუთარ მომავალ სიბერესაც ჩახედავს ხოლმე თვალებში. აქ სტუმრობენ სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, ხელისუფლების წარმომადგენლები, მოდიან და ულამაზებენ სიბერეს მოხუცებს. ისმის ლექსი, სიმღერა, მიაქვთ ტკბილეული. მიუხედავად იმისა, რომ აქაურებს არც კვება, არც მოვლა არ აკლიათ, კარის ზღურბლზე გადმოსული ყოველი სტუმრის გამოჩენა სხვაგვარ, მადლიერების სხივს ააკიაფებს მათ თვალებში.

ასე იყო ახლაც, იანეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ტკბილეულით ხელდამშვენებული ეწვივნენ სათნოების სახლს.

სკოლის ქიმიის პედაგოგმა, ჟუჟუნა მჟავანაძემ მე-5, მე-8 და მე-11 კლასის მოსწავლეებთან ერთად შეაგროვა მოხუცებისთვის საჩუქრები, მისმა რძალმა, თამუნამ კი, ხაჭაპურები და ნამცხვრები მოამზადა მოხუცებისათვის. სკოლის მძღოლმა, კუსა თოფურიამ კი ტკბილეული შეიძინა. სკოლის მუსიკის პედაგოგის, ნუნუ შანიძის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა შესანიშნავი ღონისძიება მოამზადეს და გაულამაზეს დღე მოხუცებს.

2015 წლის ნოემბრიდან სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი მარინა დარსაველიძეა. დირექტორი ამბობს, რომ იმ დღემ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა:

"სათნოების სახლში ჩვენი სკოლის ყოფილი პედაგოგი მედიკო კოპალეიშვილიც მოვინახულეთ, კოლეგებისა და ბავშვების დანახვამ ის ძალიან გაახარა. იმ სახლში, ბავშვების ნამღერ "მრავალჟამიერს" 100 წლის მოხუცის ხმაც შეუერთდა. ამ სანახაობას თვალზე ცრემლების მოდგომის გარეშე არ ჩაუვლია, არც ჩვენთვის და არც ბავშვებისათვის. ღმერთმა დიდხანს და ჯანმრთელად ამყოფოს ამ სახლის ყველა ბინადარი. მადლობა ქალბატონ ჟუჟუნას და ნუნუ მასწავლებელს ასეთი კარგი აქციის ორგანიზებისათვის. ისინი ამით მოსწავლეებს უნერგავენ უფროსების პატივისცემას, მოყვასის დახმარებას, სიკეთეს, სითბოს და ქველმოქმედებას. მადლობა ყველა ბავშვს, ვინც ამ აქციაში მიიღო მონაწილეობა. ღმერთმა გაგახაროთ და მოგცეთ ძალა, ენერგია და შესაძლებლობა ბევრი კეთილი საქმის საკეთებლად".

მოსწავლეებმა შესანიშნავად იცეკვეს, იმღერეს, უამრავი ემოციის მომგვრელი ლექსი თქვეს, გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაუდასტურეს სათნოების სახლის ბინადართ.

ნათია ნაცვლიშვილი

"ეტალონის" გამარჯვებული მე-3 სკოლელი ქრისტინე თავაძეა

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები მედია პროექტ "ეტალონში" უკვე მეორე წელია, რაც თავის შესაძლებლობებს სცდიან. სამტრედიელი მოსწავლეების მონაწილეობით პროექტის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა ამჯერადაც ჩაწერა გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტუდიაში. მოსწავლეებს ძალზე წარმომადგენლობითი დელეგაცია ახლდა დედაქალაქში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მათ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კახიანი, მსახიობი იმედა კახიანი და იმერეთის ახლად დანიშნული გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძეც გულშემატკივრობდნენ. პირველ ადგილზე მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე, ქრისტინე თავაძე გავიდა, მეორე-მესამე ადგილებზე კი მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეები ნინო თევზაძე და გოგა თავაძე.

პროექტის ავტორი და წამყვანი, გოჩა ტყეშელაშვილი აღფრთოვანდა სამტრედიელი მოსწავლეების მომზადების დონით და წარმატებები უსურვა ჩვენს მოსწავლეებს. "ეტალონის" წლევანდელ მონაწილეებთან დაკავშირებით სიახლე ის არის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი ფულადი ჯილდოებით დაასაჩუქრა. პირველ ადგილზე გასულს _ 500, მეორეზე _ 300, მესამეზე გასულს კი _ 200 ლარი გადაეცათ. რადგან "ეტალონის" შესარჩევ ტურში სულ 10 მოსწავლე მონაწილეობდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ 10-ვე მათგანი 100 ლარით დაასაჩუქრა და სწავლის მოტივაცია მათაც გაუძლიერა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია:

_ "ეტალონი" ერთ-ერთი წარმატებული სატელევიზიო პროექტია, მსგავსი პროექტი სხვა არ ვიცი, ის ძალიან მაღალრეიტინგული პროექტია, რომელიც ახალგაზრდობის განათლებას ემსახურება. ჩვენმა 10-მა მოსწავლემ, ძალიან ნიჭიერმა გოგო-ბიჭებმა მიიღეს მასში მონაწილეობა. სხვათა შორის, სარვამარტო დღეებს დაემთხვა გადაცემის ჩაწერა და ალბათ ამიტომაც, გოგონები სჯარობდნენ ბიჭებს. 1 მოსწავლე რეზერვში იყო. ჩვენი ახალი გუბერნატორი, ბატონი გივი ჭიჭინაძე, დეპუტატი, საკრებულოს და გამგეობის დელეგაცია დაესწრო თამაშს. ჩვენ საკრებულოსთან ერთად ბავშვებისთვის ფულადი პრიზები დავაწესეთ. არცთუ ისე დიდი თანხა. თავადვე გადაწყვიტონ, ამ თანხით რას შეიძენენ. პროექტის წამყვანს ღვთისმშობლის ხატი გადავეცით საჩუქრად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია:

_ მედია-პროექტი "ეტალონი" შესანიშნავი პროექტია, დარწმუნებული ვარ, ყველა თაობის ადამიანი სიამოვნებით უყურებს ამ გადაცემას. სულ სხვა ემოცია დამეუფლა სტუდიაში მყოფს. თავისებური განცდა ახლდა ამ თამაშს. როცა თავად დგეხარ ამ პიუპიტრებთან მაშინ განსაკუთრებით გეუფლება ემოცია. ჩვენი მოსწავლეები ძალიან კარგად გამოვიდნენ, მე მათ მინდა დიდი წარმატება ვუსურვო, ეს იყო მათი ნიჭის გამოვლენის კიდევ ერთი შესაძლებლობა. სულით და გულით ვულოცავ ქრისტინე თავაძეს ამ გამარჯვებას, მან შესანიშნავად წარმოაჩინა დიდი ტრადიციების მქონე სკოლა და თავისი გამარჯვებით გაგვახარა. ინტელექტით დატვირთულნი არიან ეს ბავშვები, ვფიქრობ, მხოლოდ განათლებული ახალგაზრდები გადაარჩენენ საქართველოს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი:

_ ბუნებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ბევრი მედია-პროექტი გვინახავს, რომელიც იწყება და მთავრდება. მგონია მედია-პროექტ "ეტალონს" დასაწყისი აქვს, მაგრამ დასასრული არ ექნება. ის უწმინდესის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს, შეიძლება უწმინდესმა ბევრი რამ შემოგვთავაზოს, მაგრამ განვრცობა არ მოჰყვეს, ეს ძალიან პრაქტიკულია, სახალხო პროექტია. ადამიანს დროში აზროვნებას ასწავლი, ბრძენი ჭკვიანისაგან დროში აზროვნებით განსხვავდება. რასაც სიბრძნისაკენ აქვს გზა, იმას დასასრული არ ექნება. გაცილებით სასიამოვნოა დარბაზში ყურება ამ გადაცემის, ვიდრე ტელეეკრანიდან. შედეგები იყო ბრწყინვალე, აღინიშნა წამყვანის მიერაც, რომ ძალიან კარგი დონე აჩვენა სამტრედიამ, ჩვენი საჩუქრებიც იყო მოკრძალებული, აღინიშნა ისიც, რომ ასეთი წარმომადგენლობით დელეგაცია სხვა მუნიციპალიტეტებს არ ჰყოლიათ. მოგეხსენებათ, ეს ის პროექტია, რომელშიც წაგებული არ არის. ჩვენმა დეპუტატმა საქართველოს ისტორიის ოთხტომეულით დაასაჩუქრა I-II და III ადგილებზე გასული მოსწავლეები.

იმერეთის გუბერნატორმა კი, საკმაოდ კარგი საჩუქრებით დაასაჩუქრა ეს ბავშვები, ასევე მიიღეს მათ საჩუქრები "ეტალონის" წამყვანისაგან. ასევე ძალიან სასიხარულოა ის, რომ ამ ბავშვებში ურთიერთისადმი შური არ იგრძნობოდა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, მამუკა თავაძე:

ძალიან დიდი ემოციები, დიდი ვნებათაღელვა ახლდა ამ არაჩვეულებრივ თამაშს. ყველამ კარგი თამაში აჩვენა, ისეთი საინტერესო თამაში იყო, დავიტვირთე ემოციებით. გამარჯვებული მე-3 სკოლელია, ჩემი მოგვარე, ძალიან დიდ წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლეს. ვიცი, რომ ბევრი ბავშვი ელის ამ პროექტში მონაწილეობის უფლების მოპოვებას, არ მეგონა, ასეთი რეზონანსული თუ იქნებოდა ეს თამაში.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე:

ძალიან ამაღლებული შთაბეჭდილება გვაქვს, ჩვენმა ბავშვებმა მაღალი დონის თამაში აჩვენეს. მე-3 სკოლელი ქრისტინე თავაძე უპირობო ლიდერი იყო, მას პედაგოგი, ცირა კრავეიშვილი გულშემატკივრობდა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო პატარა იოსებ ვეზდელის მონაწილეობის შესახებ "ეტალონში". მისმა მუსიკალურმა ნომერმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ჩვენმა ეწრელმა ბიჭმა იტალიური სიმღერა ასე კარგად იმღერაო. _ აღნიშნა ბატონმა იმედა კახიანმა.

მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი, ვენერა ივანიშვილი:

_ ძალიან მოხარული ვარ, ჩვენი მოსწავლის წარმატებით ვამაყობთ, რომ გავხდით "ეტალონის" დროშის მფლობელები, ძალიან კარგია, თუ ამ ლიდერობას მომავალშიც ჩვენი სკოლა სხვას არ დაუთმობს, ქრისტინე თავაძე არის ძალიან კარგი მოსწავლე, არის ნაკითხი, მობილიზებული, მიზანდასახული, აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობებში.

„მომავლისთვის მოვუხმოთ წარსულს"

ნათია ნაცვლიშვილი

"თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი" _ კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან რუსული ტყვიებით ჩაცხრილული პატრიოტი ქართველი იუნკერების ხსოვნისადმი მიძღვნილი, კოლაუ ნადირაძის ამ შესანიშნავი ლექსით მომავალი თაობები ერთგვარად ხარკს უხდიან სამშობლოსათვის თავდადებული ყველა ქართველი გმირის ხსოვნას. გიორგი გაგუას მიერ წაკითხულმა ამ ლექსმა დარბაზს ჟრჟოლა მოჰგვარა. ის დღეც გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მე-2 საჯარო სკოლაში. ღონისძიება 1921 წლის 25 თებერვალს _ საქართველოს გასაბჭოების ტრაგიკულ თარიღს მიეძღვნა, თუმცა, ისტორიკოსი ნატო ჯამბურია და მისი მოსწავლეები ოდენ ერთი თარიღით არ შემოიფარგლნენ. მე-9 კლასმა შესანიშნავად მიმოიხილა საქართველოს ისტორიის ტკივილიანი პერიოდები, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან დღემდე. მოსწავლეებმა შესანიშნავი პარალელები გაავლეს წარსულთან, ბევრი საგულისხმო რამ შეგვახსენეს, ისტორია ხომ აღსავსეა პარალელებითა და სიმბოლოებით.

გაიხსენეს პერიოდი, როცა ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობადამძიმებულ საქართველოს, სხვა გზა არ ჰქონდა, რუსეთისთვის დახმარება არ ეთხოვა. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებულ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არ მოუტანია, ზიანი კი, აუარებელი მოუტანა. მას 1795 წლის აღა-მახმად-ხანის შემოსევა მოჰყვა, ერეკლემ ხელშეკრულების ძალით 3000 ჯარისკაცის მოშველება სთხოვა რუსეთის ხელმწიფეს, რუსეთი მას არ დაეხმარა, 10 სექტემბერს, თბილისი მიწასთან გაასწორა აღა-მახმად-ხანმა, 5000 ქართველი 35 000 ათასიანი მტრის ლაშქრის პირისპირ აღმოჩნდა. ძლიერი "მფარველი" მოკავშირის მიერ მოტყუებული, თავს დამტყდარი საშინელებით გულგატეხილი, ოთხმოცს მიტანებული ერეკლე იძულებული იყო ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო.

1801 წელს, პავლე პირველმა მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამი იყო, თითქოს თვით ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის, მოწინავე წრეების და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა, არადა, არც მეფე გიორგის, არც ქართველ ხალხს ეს არ სდომებია და არ უთხოვია.

ამას მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, აჯანყებულები ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. "ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია". ილიას ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევს მთელ ეროვნულ მოძრაობას XIX საუკუნეში.

1918 წლის 26 მაისს კი საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიქმნა ეროვნული დროშა, ჰიმნი, გერბი, მუშაობას შეუდგა ქართული პარლამენტი, მიიღეს ქართული კონსტიტუცია, დაარსდა დედა უნივერსიტეტი, წინ მიიწევდა ქვეყანა, მაგრამ... "თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილი ცელით". 19 თებერვალს თბილისის მისადგომებთან ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მე-11 წითელ არმიას ძლიერი დარტყმა მიაყენეს, ბრძოლაში VIII, IX და XIII არმიებიც ჩაებნენ, ასევე, ბუდიონისა და ჟლობის კავალერიები, ქართულმა ჯარმა უკან დაიხია, 25 თებერვალს რუსული ჯარი თბილისში შევიდა, კავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ, სერგო ორჯონიკიძემ კი კრემლში "ახარა" ლენინს და სტალინს: "თბილისში ფრიალებს წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

ანტი-საბჭოთა გამოსვლები საქართველოში არ შეწყვეტილა, იქნებოდა ეს 1921 წლის სვანეთის აჯანყება, 1922 წლის _ ფშავ-ხევსურეთის, 1924 წლის კახეთის, 1937 წლის რეპრესიებს კი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

განსაკუთრებული ემოციით გაიხსენეს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, როცა "ბარ-ნიჩბით გაგვილახეს გაზაფხული" და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღვარა უმანკო გოგო-ბიჭების და მათი დედების სისხლი. გაიხსენეს სამშობლოს ღირსეული შვილები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები, დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ ქცეული მერაბ კოსტავა და მისი ქრისტესმიერი ძმა, ზვიად გამსახურდია. პირველი პრეზიდენტი, რომელმაც 9 აპრილის ტრაგედიის ორი წლისთავზე საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა. ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს კი, 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისის ცენტრში ძმათამკვლელი ომი, კანონიერი ხელისუფლების დამხობა და პირველი პრეზიდენტის ქვეყნიდან გაშვება მოჰყვა. 1992 წელს აგვისტოში სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში ქართული პოლიციისა და ჯარის შეყვანას აფხაზეთის ომი და სოხუმის დაცემა მოჰყვა...

"სამაჩაბლოში რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის საბოლოო გამოვლინება კი 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. ომს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დამპყრობელი ქვეყნის შეჩერება ვერც ჯერჯერობით ხერხდება. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უკრაინასაც აწუხებს. დღეს ამ ქვეყანაში ურთულესი მდგომარეობაა, დიდი ბრძოლები მიმდინარეობს, ჩვენ თანავუგრძნობთ უკრაინელ ხალხს, რომელიც საკუთარ მამულს აგრესორებისაგან იცავს". _ ასე დაასრულეს ღონისძიება მოსწავლეებმა და მრავალჯერნახულ საქართველოს გამთლიანება და გაერთიანება უსურვეს.

მოსწავლეებმა პატრიოტული სიმღერებიც იმღერეს, "ჩემო კარგო ქვეყანავ", "გამარჯობა აფხაზეთო შენი", "დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს"... ღონისძიება კი ეროვნული ჰიმნით გაიხსნა.

ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სკოლის დირექტორმა, თეა კარტოზიამ პედაგოგსა და მოსწავლეებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სკოლა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა და ყველა აქტუალურ მოვლენას ეხმიანება.

ჩვენი მხრივ, კი განსაკუთრებული პატივისცემა გვსურს გამოვხატოთ პედაგოგისა და მოსწავლეების მიმართ, რადგან ეს იყო ღონისძიება, სადაც არც ერთ მონაწილეს ხელში ფურცელი არ სჭერია, თითოეული მათგანი თავდავჯერებულად, საინტერესოდ და ენის ბორძიკის გარეშე გამოთქვამდა თავის სათქმელს. ასეთ "უფურცლო" ღონისძიებებს განსაკუთრებულად მივესალმებით.

ნატო ჯამბურია: სკოლაში 31 წელია ვმუშაობ, ეს თემა 25 თებერვლის თარიღთან დაკავშირებით შევარჩიეთ, ყველა კლასი კარგია, მაგრამ რატომღაც საქართველოს ისტორია ისწავლება მარტო მე-9 კლასში, თუმცა, სხვა დროს სხვა კლასებთანაც ვაკეთებთ მსგავს ღონისძიებებს. 25 წლის წინ სულ სხვა ხედვა იყო ამ საკითხებთან დაკავშირებით, უკვე, რადგან გრიფით საიდუმლო მოეხსნა ამ მასალებს, მეტი სითამამით ვსაუბრობთ ამაზე. ბავშვებს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდათ და ღონისძიებაც მალე მოვამზადეთ.

ელზა ცხვირავაშვილი, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის სპეციალისტი: "დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ისტორიის მასწავლებელს ნატო ჯამბურიას. კლასის ხელმძღვანელს, ბავშვებს, მშობლებს, ამ ლამაზი ღონისძიებისათვის. ძალიან კარგად იყო მორგებული 25 თებერვალსაც და ჩვენს საერთო სატკივარსაც. ბავშვებმა ყველა გაკვეთილი რომ დაივიწყონ, არასოდეს დაავიწყდებათ ასეთი წარმატებული ღონისძიება. გაცებული ვარ, ხალხურ საკრავებზე უკრავენ, მღერიან, ცეკვავენ, ალბათ მოტივაცია მეტი ჰქონდა პედაგოგს, რომ ამ კლასში ჩაეტარებინა ღონისძიება. მადლობა სკოლას, ამ სკოლაში ყოველთვის ძალიან გემოვნებიანი და კარგი ღონისძიებები გვინახავს, ვისურვებდი ამ ბავშვებს კარგი სწავლით, შრომით და ერთგულების გამოვლენით ღირსეული წვლილი შეეტანოთ ქვეყნის მშენებლობაში".

145 წლის სამტრედია

გზალოვანლიანი ქალბატონი

მასპინძელი გველის, მალევე გვიღებს კარს და შინ გვეპატიჟება, უყვარს სტუმარი. ეს იმ გაზეთიდან ვესტუმრეთ, რომლის ფურცლებზე მრავალგზის უხილავს საკუთარი თავი. მაშინ "წინსვლამ" ამცნო ქალაქს წამყვან თანამდებობაზე ახლად დანიშნული, 26 წლის ქალის ვინაობა. მოგვიანებით ეს სახელი მთელმა რაიონმა გაიგო და მის ფარგლებსაც გასცდა.

წარმოუდგენელია გონების თვალი გავადევნოთ სამტრედიის უახლოეს წარსულს და არ მოგვაგონდეს თალიკო მიქაძე, მტკიცე, პრინციპული ქალბატონი.

დრო, ცხადია, უკანმოუხედავად გარბის. აწმყოში წარსულის გახსენება სჭარბობს. თმაშევერცხლილია ის თაობა, რომლის მხრებზეც მეოცე საუკუნის ფორმაციებმა გადაიარა. დროთა განმავლობაში მიჩუმდა ცხოვრების რიტმი. ფაბრიკა-ქარხნების გუგუნიც მიცხრა, მაგრამ ჩვენ, მაინც ვიბრძვით, ვშრომობთ, რათა ცხოვრება უკეთესი იყოს, გამოგვივა კი?! ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე "მტკბარად ნაგემნი" დროის ლანდს მივყვეთ.

ოთხმოცი წელი უკან დარჩა. რაიონზე ზრუნვაში, მეულლესთან სიყვარულში გატარებული ათეულები, ერთიორად ალამაზებს, ძვირფასი ნაყოფით დახუნძლულს ხდის თალიკო მიქაძის ცხოვრების ხეს.

"ზომ ლამაზია ჩემი ქალაქი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა..." _ ეს ქალბატონ თალიკოსეული პერიფრაზია, რომლის იდეას, ყოველი სამტრედიელი იზიარებს და უკეთესი მომავლის მოიმედედ რჩება.

პირად ცხოვრებასა და თანაქალაქელებზე საუბარიც იმედიანი აღმოჩნდა. რუბრიკაში "145 წლის სამტრედია" თალიკო მიქაძეს ვმასპინძლობთ.

"სოფელ ღანირში დავიბადე გლეხის ოჯახისთვის ლუკმა-პურის საშოვნელად შრომა და მუყაითობა უცხო არ იყო. მშობლებისგან შეთვისებული მონდომებით, სიბეჯითით საშუალო სკოლა 1944 წელს დავამთავრე. მეამაყება, რომ მოსწავლეობის განუმეორებელი წლები, შემდგომში ცნობილი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის გვერდით, ერთ მერხზე გავატარე. მასწავლებელს, გარემოსთან ერთად, დიდი როლი ეკისრება აღსაზრდელის ჩამოყალიბების, ყოველმხრივ დახვეწის მხრივ. ჩვენმა პედაგოგებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს, რათა მიგვეღწია დასახული მიზნებისთვის და ცხოვრება ქვეყნის საკეთილდღეოდ გაგვევლო.

1948 წელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, მუშაობა ღანირის საშუალო სკოლაში მასწავლებლად დავიწყე. ამ პერიოდში დიდ გამოცდილებასთან ერთად, თანამშრომლობის შესანიშნავი გაკვეთილები მივიღე, რაც დიდად დამეხმარა აქტიური პროფესიული საქმიანობის შემდეგ, ქალაქის № 3 საშუალო სკოლაში დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობისას, ოღონდ ეს ყველაფერი ცოტა მოგვიანებით".

საქმის პროფესიონალი ახალგაზრდა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ რაიონის იმჟამინდელ თავკაცებს.

"1952 წლიდან იწყება ჩემი, როგორც პარტიული მუშაკის მჩქეფარე ცხოვრება, დატვირთული მოულოდნელობებით, სიხარულითა და ახალი მიღწევებით. კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნის პიზიციიდან პირველ მდივნობაზე ექვს თვეში წარმადგინეს და დამნიშნეს კიდეც. 10 წელი ახალგაზრდების აღზრდას ვემსახურე. იმჟამად კომკავშირის რაიკომი ვალდებული იყო ყველა ღირსშესანიშნავ თარიღს გრანდიოზული ღონისძიებით გამოხმაურებოდა. ვფიქრობ, და ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მოსწავლეთა ამგვარ აქტივობებში დაკავება საგრძნობლად მოქმედებს მათი მოქალაქეობრივი პოზიციის ამაღლებასა და საზოგადოებაში წარმოჩენაზე.

1952-62 წლებში, ვიდრე პარტიის რაიკომში გადამიყვანდნენ, რაიონის მასშტაბით მიმდინარეობდა, რიგი სამშენებლო სამუშაოები. ძირითადი ნაწილი იმ შენობა-ნაგებობებისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გასვლია ყავლი, აიგო ლეგენდარული პიროვნებისა და ხელმძღვანელის, კიტა შავიშვილის დროს. მისი ავტორიტეტი, ახლო კავშირები ყველა დადას ვემსახურე. იმჟამად კომკავშირის რაიკომი ვალდებული იყო ყველა ღირსშესანიშნავ თარიღს გრანდიოზული ღონისძიებით გამოხმაურებოდა. ვფიქრობ, და ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მოსწავლეთა ამგვარ აქტივობებში დაკავება საგრძნობლად მოქმედებს მათი მოქალაქეობრივი პოზიციის ამაღლებასა და საზოგადოებაში წარმოჩენაზე.

ბატონი კიტას პარტიის სამტრედიის რაონული კომიტეტის პირველი მდივნობისას მრავალი სამომავლო საქმე გაკეთდა. აშენდა საცხოვრებელი სახლები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საკონსერვო, ხოლო საფუძველი ჩაეყარა ჩაის კომბინატს, შექმნა ახალი მოწინავე მეურნეობები". _ გვიყვება ჩვენი რესპონდენტი.

1959 წელს, ქალბატონი თალიკო სამუშაოდ გადაჰყავთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის № 14 საშუალო სკოლის (ამჟამად № 12 საჯარო სკოლა) დირექტორად, ერთი წლის შემდეგ კი პარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივნად. დროის მოკლე მონაკვეთში თალიკო მიქაძე საფუძვლიანად ეცნობა ახალი თანამდებობის ძირითად საკითხებს და ფართო ასპარეზზე, კერძოდ პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა რესპუბლიკაში (და არა მარტო) ღირსეულად წარმოაჩენს ქალაქის მიღწევებს. იგი ამავდროულად ნოვაციურ გეგმებს სთავაზობს რაიონს და ზედმიწევნით კარგად ახერხებს მათ ხორცშესხმას.

"საგანმანათლებლო კერის, აღორძინება უეჭველი წარმატების გარანტს იძლევა. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რაიონში დაიწყო სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება. ამის დასტურია ქალაქის № 3, № 2, № 1, ასევე, დიდი ჯიხაიშის, ჭოგნარის, ოფეთის სკოლები და კულაშის სკოლის გარკვეული ნაწილი.

ჩემი მუშაობის არც ისე მოკლე პერიოდში, თანაგუნდელებთან ერთად ვიბრძოდი ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური პრობლემების დასაძლევად, ერისა და სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. მტკიცე კავშირს ვამყარებდი მრავალშვილიან და ეკონომიურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებთან.

მეამაყება, რომ ჩემივე თანამონაწილეობით სამტრედია კულტურულ-შემოქმედებითი მიღწევების ავანგარდში მოხვდა, რასაც ხელი შეუწყო რაიონული თეატრის არსებობამ. საგასტროლოდ ჩამოსული რუსთაველის, მარჯანიშვილის, მესხიშვილის თეატრების მსახიობები დადებითი ემოციებით დამუხტულნი ტოვებდნენ ქალაქს, სახალხო არტისტები: ვერიკო ანჯაფარიძე, ეროსი მანჯგალაძე, ვახტანგ ნინუა... მწერლები: ირაკლი აბაშიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ დუმბაძე... არაერთხელ ყოფილან მტრედად ნათლული ქალაქის საპატიო სტუმრები". _ იხსენებს ქალბატონი თალიკო.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სამტრედიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი და პეტრე გრუზინსკის ლექსზე დავით თორაძის მიერ შექმნილი სიმღერის გამარჯვება რესპუბლიკურ ფესტივალზე. სწორედ ამ მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა თალიკო მიქაძე. გვერდში ედგა ორგანიზატორთ და უდიდესი წვლილი შეჰქონდა მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფაში.

1975 წლიდან თალიკო მიქაძე № 3 საშუალო სკოლის დირექტორის პოსტს იკავებს. 15 წლის მანძილზე იგი იღვწოდა ახალგაზრდების ეროვნული თვითშეგნების, მაღალი მეცნიერული ცოდნით შეიარაღებისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის. ქალბატონი თალიკოს დირექტორობის თითქმის ორ ათეულ წლიან მონაკვეთში სკოლა გამოირჩეოდა მისაბაძი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობით, დატვრითული შემოქმედებითი ცხოვრებითა და სიახლის ძიებით. მან, რომ

გორც დირექტორმა ხელი შეუწყო სკოლის ტრადიციების შენარჩუნებას, გამდიდრებას.

ღვაწლმოსილი ქალბატონი სიამოვნებით იგონებს დღეს უკვე სახელოვან ნამოწაფარებს: საქართველოს ვიცე-პრემიერს, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს, "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტ კახა შენგელიას, საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონ მოჭადრაკე სოფიო ტერელაძესა და მრავალ სხვას.

თალიკო მიქაძე 1992 წლიდან დამსახურებულ პენსიაზეა. ლამაზი ქართული ოჯახის დიასახლისს, მეულლე, სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობი კაცი, დავით ნიკოლაიშვილი უმშვენებს გვერდს.

"ძვირფასო თალი!" _ ასე იწყება ერთ-ერთი ბარათი, რომელიც ბატონმა დავითმა მისწერა მეუღლეს და ამ სიტყვებში ნათლად გამოხატა მისადმი დამოკიდებულება.

ქალაქის ქუჩებში, ზაფხულის მზიან ამინდში ხშირად შეხვდებით ხელჩაკიდებულ, ჭაღარაშერეულ წყვილს, რომელიც ცხოვრებითა და გაუხუნარი სიყვარულით ტკბება.

მათი ვაჟი დავით ნიკოლაიშვილი ერთხანს რუსეთში, შინაგან საქმეთა სამინისტროში მსახურობდა, ამჟამად კი აბაშა-ზუგდიდის პატრულ-ინსპექტორის თანამდებობას იკავებს. რძალი, ხათუნა ხუჭუა სამედიცინო სფეროს მუშაკი, წარმატებული ექიმია. შვილიშვილები, სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ნინო ნიკოლაიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსელი _ ოლეგ ნიკოლაიშვილი მხცოვანი ბებია-ბაბუის იმედს, ხვალინდელ დღეს წარმოადგენენ.

უკვე "დარაბებს მიღმა გაზაფხულია", ამ დღეებში მიილია ქალთა კვირეული. გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მოგვიანებით ულოცავს ქალბატონ თალიკო ვლადიმერის ასულ მიქაძეს დედისა და ქალთა დღეს. ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, უფლის მფარველობას უსურვებს კეთილისმსურველთა გასახარად.

ჟურნ. ჯაჯანა

ქმნა მართლისა...

145 წლის სამტრედიის ისტორიაში მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა პირნათლად მოეხადათ თაობების წინაშე ადამიანური და პროფესიული ვალი.

სრულიად ახალგაზრდა იყო ქალბატონი ტატიანა, როცა იგი სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. მისი ინიციატივით, 1937 წელს ამ სკოლის ბაზაზე რუსული საშუალო სკოლა დაარსდა, რომლის დირექტორადაც თავად დაინიშნა. დირექტორისა და სკოლაში მოღვაწე კვალიფიციური კადრების წყალობით სასწავლო დაწესებულება მოკლე დროში ერთ-ერთი მოწინავე იყო არა მარტო სამტრედიაში არამედ მთელ საბჭოეთში. ინტერნაციონალური აღზრდის ამ კერაზე ერთმანეთის მხარდამხარ მეგობრულად სწავლობდნენ ქართველები და რუსები, ებრაელები, სომხები. ეროვნულ-სარწმუნოებრივი განსხვავება ხელს როდი უშლიდა მათ თბილ ურთიერთობებს.

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მრავალი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი, ქალბატონი ტატიანა გეგუჩაძე დედობრივ სითბოს უხვად უნაწილებდა, მზრუნველობას არ აკლებდა მოსწავლეებს, იღვწოდა სკოლის მოწინავე პოზიციებისათვის. ქვეყნისთვის ყველაზე რთულ პერიოდში 1938-1944 წლებში ის სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებას ედგა სათავეში. აქაც საკუთარი ხელწერა დატოვა მან. ყველაფერს აკეთებდა ქალბატონი ტატიანა ქალაქსა და სოფლებში საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებისა და ახალგედა პედაგოგების პროფესიული დახელოვნების, ღირსეული თაობების აღზრდის კეთილშობილური მისიის პირნათლად შესრულებისათვის. მომდევნო წლებში იგი კვლავ რუსული საშუალო სკოლის დირექტორია, ათეული წლები დაჰყო მან ამ თანამდებობაზე. ამაოდ როდი ასოცირდება სკოლის ღირსეული ისტორია ამაგდარი ქალბატონის სახელთან.

უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ტატიანას შვილებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს სამტრედიის ისტორიაში. წინაპართა მიერ გაკაფულ გზას ღირსეულადვე აგრძელებენ ქალბატონი ტატიანას შვილიშვილები, მათი შვილები. ისინი არ ივიწყებენ მათთვის ძვირფას ადამიანს, მის ღვაწლსა და ამაგს.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამტრედიელმა", რომლის თავმჯდომარეა ბატონი თეიმურაზ (თამაზ) მურღულაია, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ქალბატონ თამარ სანიკიძეს, რათა უახლოეს ხანში განიხილონ სამტრედიის მე-4 საჯარო (ყოფილი რუსული საშუალო) სკოლისათვის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონი ტატიანა გეგუჩაძის სახელის მინიჭების საკითხი. რაც ქმნა მართლისა სიმართლისა იქნება და ბევრსაც გაახარებს რამეთუ კიდევ ერთი დამაშვრალი სამტრედიელის ხსოვნა იქნება უკვდავყოფილი, სახელი განდიდებული.

ლევან გაბაჩავა

სურათზე, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარშია გადაღებული, აღბეჭდილნი არიან ქალბატონი ტატიანა გეგუჩაძე და რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეები

ითა ჯალთაავსებული პოეტი

დიდი ხანია, მაყვალა ჩირგაძის ლექსები ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მკითხველს აღარ "დაუგემოვნებია". და ეს მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოკრძალების გამო. ქალბატონი მაყვალას შემოქმედებაც კრძალვა და სიყვარულია სამშობლოსადმი, ადამიანებისადმი, მშვენიერებისადმი; ერთი დიდი სიკეთეა, პოეტური სტრიქონებით რომ შეგვღიმილებს. პოეტესას ნატიფი ლექსები მოსწონდა პოეტ ნოდარ ადეიშვილს, ხოლო პოეტი გრიგოლ ჯულუხიძე აღფრთოვანებით წერდა "მწერლის გაზეთში": "მაყვალა ჩირგაძე სამტრედიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ეს მშვენიერი ქალბატონი მშვენიერებაზე ოცნებობს; ყველგან და ყველაფერში სიყვარულის უკვდავებას ეძებს და ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიას ეკამათება.

როცა მის ლექსებს გავეცანი, უნდა ვოქვა, რომ მუზის თვითმყოფადობას ვეზიარე, ზოგჯერ მართლა ქალბატონივით ჭირვეულსა და თავნებას, მაგრამ მაინც ამაყს, მომხიბვლელსა და მიამიტს.

ჩვენს გაზეთში მისი დებიუტი ერთხელ კიდევ იმის დასტური გახლავთ, რომ მტრედების ამ ქალაქში გადარჩა და სუნთქავს პოეზია".

ჩვენ კი მას იებით კალთაავსებული ქალბატონი ვუწოდეთ. დიახაც, რომ იის სურნელი ასდის მის პატარა პოეტურ ქმნილებებს. მტკიცენეულია მამულზე ფიქრი და სანთლებიც მისთვის დაანთო ლოცვად პოეტმა. სიხარულით ეგებება ყოველ "ცისმარე დილას" და ზოგჯერ ბავშვად ქცეული განცდით აფერადებს აწმყოს. თუმცა მაინც, ჩემი ცხოვრება ერთი დიდი ტვირთიაო, ამბობს. კარგი ლექსიც ხომ წინააღმდეგობების ჭიდილში იბადება!

ინტელექტით, ცხოვრებისეული გამოცდილებით გაჯერებული მისი ლექსები, მდიდარია დახვეწილი რითმითა და ორგინალური მეტაფორებით. შეუძლებელია, დაიწყო და ბოლომდე არ ჩაათავო მათი კითხვა. ბუნებრივობის, მგრძნობელობისა და სიწრფელის გამო.

ქალბატონი მაყვალა ჩირგაძის ლექსები უკვე კარგა ხანია თითქმის ჩემს თვალწინ იბადებიან, იზრდებიან და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო უკეთესი ხდებიან. დასანანია, რომ პოეტმა დღემდე ვერ შეძლო მათი აკინძვა და წიგნად გამოცემა. ესეც შემოქმედი ადამიანის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოველდღიური ყოფითი, ეკონომიკური პრობლემების გამო ხდება. მუზა კი თავს მაინც არ ანებებს შემოქმედს და ლექსებად გარდასახული სტრიქონ-სტრიქონ, ტაეპ-ტაეპ სიხარულად იქცევა პოეტისა და პოეზიის მოყვარულებისათვის.

ქეთევან ჭელიძე

იანვარო!

უკვე შენც მომწონხარ, იანვარო,
შენი სუსხიანი მზერაც,
ახლა შენს გულში რომ ია ხარობს,
აღარ შემომხედავს ზედაც.
გულში ისევ ღვივის ნაღვერდალი,
დაისი დამინთებს კოცონს,
მე შენი ღიმილი ნაღვლიანი
ახლა უფრო მეტად მომწონს.
გზაზე ამედევნა ქუჩის ძაღლი,
როგორმე მოვუკლავ შიმშილს,
შენ აღარა ხარ, მე ვინ მომიკლავს
გზაზე ადევნებულ სიკვდილს!

სხვაზე მეტად

სხვას რას გეტყვი, რაც არ უთქვამთ,
ვერც სხვა რამეს შეგპირდები,
ერთი კია, სხვანაირად
სხვაზე მეტად მეტირები.
არაფერი გამაჩნია
შენი სიყვარულის გარდა,
ჰე, მამულო! ვეღარ გშველი,
ისიც მიაქვთ, რაც მებადა!

ფიქრები მტკივა

ყველა აისი შენზე ფიქრია,
ყველა ცისმარე დილა,
ღამით ფიფქი რომ აფუსფუსდება,
ძილში ჩამესმის ტკბილად.
ყველა სანთელი შენზე ლოცვაა,
ციდან ვარსკვლავთა წვიმა,
გულის სიღრმიდან ამოხეთქილი,
"ნანა ქოგალე ცირა".
ჩემო მამულო, როცა შვილები,
ხის ფოთლებივით გცვივა,
გთხოვ, მაპატიო ცრემლები ჩემი,
რა ვქნა, ფიქრები მტკივა.

"ოდოია" და "ჩაკრულო"

აგორებული ზვირთები,
აქაფებული ჩანჩქერი,
ახალგაზრდული სისხლი და
გონება გრძნობის დამჯერი.
მთები, ხევები, კვლავ მთები,
ნისლებით ჩამოქუფრული,
ერთი სიმღერა უწყვეტი,
ნაკადულების ჩურჩული.
ოკეანე, მთა, მინდორი,
კაცის სუნთქვა და ალერსი
და სიყვარული თვალებში,
ვით ცა ღრუბლის ერთ ნაფლეთში,
ჩამოთოვლილი მთებზე და
ჩამოთოვლილი თვალებზე,
თბილი მზის სხივი ზამთარში,
ბებრის ღიმილი ბაგეზე.
წყლის პირს ნარნარი ტირიფის,
ერთგული ქალის მზერა,
ვაკეს ლივლივი მდინარის,
მოხუცის გულის ძგერა.
ადამიანი-ბუნება,
ადევნებული წამი წამს,
ღვინო ჯამში და ჯამი ხამს
კვლავ ღვინისათვის ჟამი-ჟამს...
ძეო ღვთისაო, მიწაზე,
ვაზო ჭიგოზე ჩაკრულო,
არ მომიშალო, უფალო,
"ოდოია" და "ჩაკრულო!"

დღესასწაული აფხაზეთს

გარინდებულა დილის სისხამი
და ბედურების მესმის ჟღურტული,
ათასფერადდა ყელზე ცის ნამი,
ნანინანაობს ველზე ურმული.
სიო ჩურჩულებს მზის საუფლოში,
ფრუზისფერი მოღელავს ტალღა,
ყელმოღერილი თეთრი გედები
აცურებულა მაღლა და მაღლა.
მზემ მოიყვანა ჩემთან ეს ჩიტი,
თითქოს მზეს მოჰყვა ეს მეეზოვეც,
ისევ წაიღო ქორმა წიწილა
და ბედისწერას კვლავ შევატოვე.
და ყოველ ღამით გრძელდება ასე,
დღესასწაულად მექცა სიზმარი,
ნეტავ, როდემდე სხვის კერიაზე,
ეს ახალუხი, ძველ-ნასხვისარი,
ნეტავ, როდემდე, გულო, მითხარი!
თურმე შავ ზღვასაც ჰყოლია დედა,
ვერ დაიტია მიწამ წუხილი,
ამოხეთქილა ცრემლებად სევდა
და აფხაზეთის ისმის ქუხილი.
გიხმობ, გეძახი, მოდი, მომძებნე
და ამიხდინე, ღმერთო, სიზმარი,
ხომ დაბრუნდითო თქვენს მიწა-წყალზე,
ხომ დაბრუნდითო, მოდი, მითხარი!

გუთნის დედებო!

საწვეთურების მესმის ძახილი,
მიტოვებული ოდა-სახლების,
ჭიშკრის ჭრიალში იმედი კვნესის,
გადახვეწილი ქართველ ქალების.
ისმის ძახილი ტკივილიანი,
სულის შემძვრელი, გულის წამღები,
ხავსმოკიდებულ საფეხურებზე
დანავარდობენ წვიმის ბალღები.
სულში იჭრება ღაღადი ქვათა,
იდუმალება ქართულ ანბანის,
საუკუნეებს არწევს ტაძარში,
სამრეკლოების დიდთა აკვანი.
საწვეთურების მესმის ძახილი,
სამზიანოსკენ ილტვის ვარდები,
თქვენს დაბრუნებას, გუთნის დედებო,
იმედით ელის თქვენი სახლები!

თქვენთვის შეჯელ!

ქარმა გაღმიდან სურნელი მოიტანა,
სურნელი მზისა და ტყემლის,
ფიქრი გაიქცა და გული გაიყოლა,
ნისლი მოვისროლე ცრემლის.
ცაზე აფერადდა ფერი მეწამული,
იით ავსებულა კალთა,
ღამეს აბრეშუმის კაბით შეუმოსავს
ჩემი პაემანი ქართან.
და ეს გაქცევაა ყველა ჩემი ლექსი,
აქ ვეფერებოდი მთიებს,
იცით? თქვენთვის შევძელ ჯოჯოხეთიდანაც
ვკრეფდი ვარდებსა და იებს.

გადაარჩინე იასამანები!

ხვალ მოვალ და თავს
ჩაგიდებ კალთაში,
სანთლად მინთიხარ
ბნელსა და ზამთარში.
ხვალ მოვალ, ხვალ მოვალ,
დამძიმდა ფიქრები,
უკვე რა ხანია,
რომ მოსვლას გპირდები.
დღეს მითხრეს: მოკვდაო,
ჰო, მართლა მოკვდაო,
იასამანებს ტოტები მოტყდაო,
მოჰგავდა თეთრ პეპლებს
ხვალე და ფიქრები,
გაფრინდა ოცნების
ღამაზი სიზმრები,
რაოდენ ძვირფასი
ყოფილა წამები,
გადაარჩინეთ იასამანები!

ველარა გშველით
გადაჭრილ ჯადრეკს

როგორ მაკლია ჭადრებო,
თქვენი ჩერო და სიმწვანე,
თვალსევდიანი მიცქერის
მოგონებები ტკბილ-მწარე.
თარეშობს ქარი თავხედი,
მიშვებულია ნებაზე,
ველარა გშველით, გაცივდა,
ამბორი ხელის მტევანზე.
დრო მოაშუშებს იარებს,
წამოიზრდება ტოტები,
თქვენი შრიალის გარეშე
მე მშვიდად როგორ მოვკვდები!

დუმილი

დუმს ზოგჯერ კაცი...
და ამ დუმილს ფასი აქვს ოქროს,
არ იყიდება...
და თავი მოსწონს.
დუმს ზოგჯერ მიწაც,
ჰა და ჰა... მოთოვს,
ზამთარში პასუხს არავინ მოსთხოვს.

დუმს სიკვდილი და
ვითარცა უცხო
მთელი სიცოცხლე ვიღაცას უხმობს.

არ შეუძლია დუმილი ყველას,
ყველას არ ძალუძს გაიჭრეს ველად,
ყველას არ ძალუძს ციხის აგება,
არც ყველამ იცის სისხლის აღება.
არ შეუძლია ზღვას დადუმება,
არ შეუძლია წყალს დაღვინება,
არ შეუძლია ადამის მოდგმას
პირველი ცოდვის გამოდინება.
დუმილი ყველა ღამაზი არი,
ვიდრემდე სულში წრიალებს ქარი,
და ღმერთმა ნუ ჰქნას, და ღმერთმა ნუ ჰქნას,
იდუმალება... დუმილში მკვდარი!

ზვიად გამსახურდიას

გაზაფხულია, სუსხი მარტისა,
მზემ ჩამომარცვლა დილა ასხმული,
გარდამოიხსნა დღეს პრეზიდენტი,
საქართველოის ასგზის ჯვარცმული.
მთელი სამყაროს იყო დამტევი,
შარავანდედი მისი ღიმილის,
სიხარულია მწუხრინარევი,
მტერსაც აღმოხდა ბაგეს ტკივილი.
მოწამე იყო ქართული ზეცა,
როგორ ჩაინთქა ბნელში ემხვარი,
პირდაბჩენილი მოსჩანს ჭრილობა,
ნაპირთან მუხა დგას ნამეხარი.
ისმის გალობა სინანულისა,
მოწყენილია ჩიტი მგოსანი,
ბაღში დავითის ტაძრად მოსულა
თავმოდრეკილი თეთრი შროშანი.

მასწავლებელო ჩემო!

როგორ მენატრება შუქი თვალთა შენთა,
მასწავლებელო ჩემო,
სკოლის მერხიდან აფრენილი
ცაში ნავარდის გემო.
ლოყა შეეფაკლა უკვე თურაშაულს,
მალე დადგება სტველი,
მოველ სკოლის კართან, ძველებურად,
გულისფანცქალით გელი.
ველარ მოვიშალე გზაზე ხეტიალი,
ჩუმად შრიალებს ვერხვი,
წუთისოფელი "შატალო" ყოფილა და
მასწავლებელი ღმერთი.

დღესაც მენატრები

ო, ეს ქარიშხლები
სულში მოვარდნილი,
ღვარცოფ ნიაღვრებით
ფიქრი წალეკილი,
ცაში დაკრეფილი იასამანები,
შუქი თვალთა შენთა იასადარები.
მუდამ მენატრები,
და ეს დიდებული,
და ეს მშვენიერი
განცდა მაფერადებს,
დრო კი მიაქროლებს
ნავებს აფრიანებს,
შენზე მონატრებას
ცაში აფრიალებს.

ღამეს მოვკლავ

აღარც ერთის აღარა ვარ,
არც ღამის და არც დილის,
უშნოდ გავეჩხირე ყელში
ლამაზ დილას აპრილის.
სხვისი არაფერი მინდა,
ჩემი მინდა სახნავი,
სადღაც ერთი ყურე მომცა,
ერთიც პატარა ნავი.
კუთხე-კუნჭულს აცოცხლებდეს
პატარების ჟივილი,
ცაში ნისლად იფრქვეოდეს
ენძელების კივილი.
თეთრი ტილოს კაბა მეცვას,
მყავდეს რაში სადავით,
ამაღამ თავს არ მოვიკლავ,
ღამეს მოვკლავ ამ ღამით.
ცისარტყელებს აღმა-დაღმა
განა ჩემთვის ვეძებდი,
მიწას უფრო ლამაზი და
დიდი წვეთი ვეცემი.

დარჩენილი წლები

აღარ მოჰგავს მერცხლებს ჩემი
დარჩენილი წლები,
თუმცა მაინც მერცხლის ხათრით
ვიძინებ და ვდგები.
მაინც ისევ ვშრიალებ და
არ დაგიდევ არად,
თმაში თოვლის ნათითურებს
სიყვარულის დარად.
ისევ ისე არ მასვენებს
იმ სიზმრების ეშხი,
ჩემი ქვეყნის აისი და
ლურჯი მთები შემშლის.

დრო გარბის

დრო გარბის, მიფრინავს სწრაფად,
ოცნებას სხვა ხიბლი დაჰკრავს,
ლურჯი ზღაპრული ფრინველი,
გზადაგზა თანდათან მკარგავს.
არავინ დამეძებს არსად,
სული მიწიერმა ჩანთქა,
ეგებ, ფეხი დამაბიჯო,
ბალახმა მაინც გამთქვას.
ველური ბროწეულები
მთაში დაიწყებენ ჩახჩახს,
მზე ამოვა და ამოსვლა,
ვაი, რომ დაბლიდან არ ჩანს.

ლამაზი ქართველები

იას ატკბობს ია რაა,
ბალახს მატიტელები,
მზეს უმღერის მზესუმზირა,
ვენახს _ ყურძნის მტევნები.
სხეულს სული ალამაზებს,
გაზაფხულს კი მერცხლები,
შენ კი ჩემო საქართველოვ,
ლამაზი ქართველები!

დედაო მიწავ!

დედაო მიწავ!
ნანინა ნანა,
"მამული, რწმენა"
და იავნანა.
დედაო მიწავ!
აკვნესდა გული,
კვლავ შესევია
ბერმუხას მუმლი.
ხილვა ნატვრისა
შენი გულისა
ტკივილად ჩემად
ვინძლო მელირსა,
ამოვიფეთქებ,
ყლორტები მუხის,
ცა სიამისგან
დაიწყებს ქუხილს,
და მე ვიქნები
დედაო მიწა,
და შენ იმღერებ
ნანაო ცისავ!
დედაო მიწავ!
ნანინავ ნანა,
"მამული, რწმენა"
და იავნანა!

***

ჩემი სამშობლოს ზეცას შევხარი,
ქართული სულის მხნეობას ვიცავ,
შენა ხარ მუხა მკერდნამეხარი,
მამულო ჩემო, დავითის მიწავ!
ლოცვით შემოვკრავ სიონში ზარებს,
ჩოქვით ვემთხვევი წმინდანთა ნაწილს,
ვიდრე სიკვდილი გამიხსნის კრებს,
უკანასკნელად მასმევენ ბარძიმს.
ვიტყვი, სიკვდილთან თანაზიარი,
გულზე დამაწნან ვაზის მტევნები,
რომ, არ მქონია ბედი სვიანი,
ცრემლები მჭრიდნენ, ვით სატევრები.
ჩემი სამშობლოს ზეცას შევხარი,
ქართული სულის სატკივარს ვფიცავ,
მუხა ხარ, მუხა, მკერდნამეხარი,
მამულო ჩემო, დავითის მიწავ!

მალხაზ ნიკოლეიშვილი

ელგუჯა ბალანჩივაძე _ საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს დედაქალაქში, სპორტულ დარბაზ "არენაში" (19-21 თებერვალს) მიმდინარეობდა საქართველოს პირველობა 1998 წელს დაბადებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. სამტრედიელმა ელგუჯა ბალანჩივაძემ 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ის, რომ მას 2 წლით უფროს მოჭიდავეებთან მოუწია ასპარეზობა.

ელგუჯა ააიპ საჭიდაო კლუბ "ფალავანის" თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სექციის წევრია, მისი მწვრთნელები არიან ზაზა არქანია და ბიძინა მელაშვილი. ელგუჯა ქალაქის № 3 საჯარო სკოლაში სწავლობს, მე-9 კლასის მოსწავლეა, ამბობს, რომ ვარჯიში წელიწად-ნახევრის დაწყებული აქვს და უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწია. იგი რედაქციაში მისი დიპლომებით ხელდამშვენებული გვეწვია.

"ამ ტურნირში მონაწილეობის მიღება ჩემმა მწვრთნელებმა მირჩიეს, ტურნირი 2 დღე მიმდინარეობდა, ეს საპრიზო ადგილი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სასიხარულოა, რომ ჩავირიცხე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში. მარტის ბოლოს უკვე დაგვეწყება წვრთნები ბაკურიანში ან ბორჯომში". _ გვითხრა ელგუჯამ.

ის არაერთი რეგიონალური თუ რესპუბლიკური ტურნირის გამარჯვებულია. მის მიერ მოპოვებულ წარმატებათა არასრული ნუსხა ასეთია:

2014 წელს თბილისში საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის ჯ. დავლიანიძის ხსოვნის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 1999 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი. ამავე წელს ქ. ფოთის ღია პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ადგილი მოიპოვა, 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

სპორტის ოსტატ ირაკლი წოწონავას ხსოვნისადმი მიძღვნილ მესამე რესპუბლიკურ ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში 1998-2001 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის მეორე ადგილი მოიპოვა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

საჩხერეში გამართულ ზაზა თურმანიძის სახელობის ჭაბუკთა რესპუბლიკურ ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში მძიმე წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა.

ჩოხატაურში, ტრაგიკულად დაღუპული ხვიჩა ცინცაძისა და ზურაბ ბიძინეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე 1998-2000 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, თავისუფალ ჭიდაობაში, 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა.

გიორგი გოგიჩაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა.

ვუსურვებთ ელგუჯას, არაერთი პრესტიჟული ტურნირის მოგებას და არაერთი სპორტული მწვერვალის დაპყრობას.

სამტრედიელ მოჭიდავეებს კვლავ წარმატებები აქვთ

დასავლეთ საქართველოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის სამტრედიაში ცოტა ხნის წინ გაიმართა. სპორტის ამ სახეობაში მიღწეული წარმატებების შემდეგ, სამტრედია ანგარიშგასაწევ სტუმრებს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მასპინძლობდა.

ქართულ ჭიდაობაში ზონალურ პირველობაზე დასავლეთ საქართველოს არაერთი რაიონიდან არაერთი წარმატებული მოჭიდავე მონაწილეობდა სამტრედიის სპორტულ დარბაზში გამართულ ასპარეზობაზე. 1995-97 წლებში დაბადებული ქუთაისელი, ზესტაფონელი, თერჯოლელი, წყალტუბოელი, ფოთელი, მესტიელი, ცაგერელი და ლენტეხელი ფალავნები ერთმანეთის მკლავის ძალას სცდიდნენ ტატამზე. ამ ასპარეზობაში გამარჯვებულები საქართველოს ჩემპიონატზე მიიღებენ მონაწილეობას.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი იური იმერლიშვილი სამტრედიის საჭიდაო სკოლის წარმატებებზე საუბრობდა, რომ "აქ მსგავსი ტურნირების ჩატარება სამტრედიელი ფალავნების თითქმის მუდმივმა წარმატებებმაც განაპირობა. მართლა დასაჯერებელია, რომ აქაური ფალავნები შორს გაიტანენ ჭიდაობის ამ მიმართულებას."

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე საკრებულოში, ამასთანავე, ვეტერანი სპორტსმენი, ბადრი შენგელია, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად მედლებს გადაცემდა გამარჯვებულებს და აღნიშნავდა, რომ სამტრედიელი ფალავნები ამჯერადაც საუკეთესო კლასს აჩვენებდნენ.

სამტრედიელი გოგა კაპანაძე _ 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილს, თედო ბოკერია _ 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში, პირველ ადგილს, ბექა ჩანქსელიანი 87 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილს, სერგო გოგიშვილი 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილს დაეუფლნენ. დაფის და ზურნის ხმაზე ერთმანეთს ტატამზე ცვლიდნენ მოასპარეზეები. ამ ასპარეზობიდანაც აშკარა გახდა, რომ საჭიდაო კლუბ "ფალავანში" პროფესიონალები პროფესიონალებს ზრდიან.

თეა გაგუნაველი

თამარი კვლავ ჩემპიონია

2015 წლის 7-8 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში. (კიოკუშინკაი კარატე). მასში მონაწილეობდა საქართველოში არსებული კონტაქტიანი კარატეს ფედერაციებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი გენო ნიკურაძე, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია). ტრადიციულად ქალთა შორის წარმატებით იასპარეზა თამარ ბიბილეიშვილმა. მან ყველა შეხვედრა მოიგო და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩემპიონი გახდა ქალთა შორის აბსოლუტურ წონით კატეგორიაში.

ვაჟთა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა რევაზ გიგაშვილმა, ხოლო მე-4 ადგილები დაიკავეს მამაკაცებს შორის ავთანდილ მეგენეიშვილმა, ავთანდილ არველაძემ და ლევან არველაძემ.

სამომავლოდ თამარ ბიბილეიშვილი მონაწილეობას მიიღებს, როგორც ევროპის, ასევე მსოფლიო ჩემპიონატებში.

"სამტრედიის მაცნე"

მომიგონებდე...

ამ სიტყვით მთავრდება თქვენი თაობისთვის კერპადქცეული კაცის, იოსებ სტალინის ბიოგრაფიულ წიგნზე თქვენეული წარწერა, მე რომ მისახსოვრეთ დაბადების დღეზე 2001 წელს.

თხუთმეტი წელი ვიმუშავეთ ერთად რედაქციაში. ვამაყობ, რომ იმ შემოქმედებითი კოლექტივის წევრი ვარ, რომლის ღირსეული ისტორიის შექმნას დიდი ამაგი დასდეს უფროსი თაობის ჟურნალისტებმა.

თავმდაბალი, მოწესრიგებული, პუნქტუალური, ფუტკარივით, დაუზარელი... ასეთად დარჩა ჩემი თაობის მეხსიერებაში ბატონი ოთარ ივანეს ძე ნაფეტვარიძე, კაცი ნაომარი, ცხოვრებისგან მრავალგზის გვემული, თუმცა, სულით გაუტეხელი, ძლიერი. მამა შავბნელ 37-ში გადაუსახლეს. ძმებთან ერთად მეორე მსოფლიო ომშიც იბრძოდა. ომიდან დაბრუნებულმა რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში იმუშავა პასუხსაგებ თანამდებობებზე. გახლდათ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სამ ათეულ წელზე მეტხანს იყო ბატონი ოთარი რედაქციის განყოფილების გამგე, პენსიაში გასვლამდე ეკონომიკის განყოფილებას განაგებდა და, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა რედაქციისა და იქ დასაქმებულთა ეკონომიკური მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებაში. კარგად იცოდა სხვათა ლუკმა მწარე რომ იყო, არასოდეს უბრძოლია დიდებისათვის, არ უყვარდა საკუთარი თავის განდიდება, სახელი და დიდება თავად პოულობდნენ ღირსეულ ქართველს, ღირსეულ სამტრედიელს.

საყვარელი ვაჟიშვილის გარდაცვალება რომ არა, კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩვენს შორის.

85 წლისა გარდაიცვალა. წრფელი გულით, ალალი ცრემლით გავაცილეთ ჩვენი უფროსი კოლეგა იმ ქვეყნად.

მოდის 15 მარტი, ბატონი ოთარის დაბადების დღე, კვლავ პატივისცემით, სითბოთი და სიყვარულით ვიგონებთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანს.

ნათელში იყავით, ბატონო ოთარ!

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს დეკანოზ ანტონს (ვაშაკიძე)

დედის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს დეკანოზ ანტონს (ვაშაკიძე)

დედის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს დეკანოზ ანტონს (ვაშაკიძე)

დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება პოეტ ნოდარ ადეიშვილის შვილის,

ზურაბ ადეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

რევაზ შანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ლიანა და ბიჭიკო გერაძეებს შვილის,

ლელას

გარდაცვალების გამო.

განცხადება

“აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის № 1-1/58 ბრძანების საფუძველზე:

სამტრედია-გრიგოლეთი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით (კმ 0-კმ 11+500 მონაკვეთზე), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება _ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა განსახლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იქნა კომპენსაცია ყველა იმ უძრავი ქონების მესაკუთრეებისათვის, ვინც მოექცა მშენებლობის პროექტის არეალში.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 2 მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის № 1-1/58 ბრძანება, რომლის თანახმად 6 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე 2015 წლის 27 თებერვალს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 20 მარტისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანის და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის № 1-1/58 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. გიორგი ახობაძის (პ/ნ 37001021194) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით № 34.08.69.047, მიწის მთლიანი ფართი 2349 კვ. მ) პროექტისთვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი _ 852 კვ. მ.

2. მიხეილ ახობაძის (პ/ნ 37001036544) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით №34.08.70.077, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 4671 კვ.მ.) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი _ 3624 კვ. მ.

რეგიონალური განვითარების რესურსცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია “რეგიონული განვითარების რესურსცენტრი” ახორციელებს ახალგაზრდულ პროექტებს. ორგანიზაცია დაფინანსებას ღებულობს, როგორც სამთავრობო, ასევე, დონორი ორგანიზაციებიდან. 2012-2013 წ. წ. “რეგიონული განვითარების რესურსცენტრისა” და ამერიკის საელჩოს ერთობლივი პროექტის საფუძველზე დაბა ბაკურიანში სასტუმრო “თეთრ სახლში” გაიმართა 4 ბანაკი სახელწოდებით GLOW. პროექტს პარტნიორობას უწევდა ამერიკული ორგანიზაცია მშვიდობის კორპუსი.

2014 წლის 21-27 მარტს დაბა ბაკურიანში სასტუმრო “თეთრ სახლში” “რეგიონული განვითარების რესურსცენტრისა” და მშვიდობის კორპუსის მოხალისეების პარტნიორობით 6 დღის განმავლობაში გაიმართება “ამერიკული ბანაკი”. ბანაკში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მე-8, მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებს. ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ ინგლისური ენის ტრენინგები. სასწავლო პროცეს წარმართავს პროფესიონალი პროგრამა FLEX მონაწილეები. ასევე, ჩატარდება ტრენინგები ქართულ ენაზე, “სოციალური მედია”, “პროექტების წერა”, “რეზიუმეს შედგენა”. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტრენინგები ქართველი მაღალკვალიფიცირებული ტრენერების მიერ იქნება ჩატარებული. სოციალური მედიის ტრენინგს პარლამენტის ჟურნალისტი წაუძღვება. “ამერიკულ ბანაკში” დაგეგმილია შემდეგი სახის აქტივობები: ფილმების ჩვენება _ ფასილიტაცია, ტალანტშოუ, დისკოთეკა და ბოლოს კი გამოსამშვიდობებელი ბანკეტი. ბანაკის მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები. ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული იქნება სასწავლო პროცესი, ხოლო მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს დაფარავს თავად ბანაკში მონაწილეები, რომლის ღირებულება 350 ლარს შეადგენს.

გაიღრმავეთ თქვენი ცოდნა ინგლისურ ენაში

არაფორმალური განათლების კუთხით შეიძინეთ დამატებითი უნარჩვევები

პატივისცემით ლევანი კირთაძე

რეგიონალური განვითარების რესურსცენტრის დირექტორი

განცხადება

21-დან 55 წლამდე ქალებსა და მამაკაცებს დავასაქმებთ ევროპაში ლეგალურად. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. № 20 (ყოფილი უნივერმაღის შენობა).
ტელ.: 557 61 38 60; 577 64 85 08.

ჯუბიკო პაპავას!

ჩვენო ჯუბიკო!

დაბადების დღეს გილოცავთ, 17 წლის ვაჟკაცი ხარ უკვე! ღირსეული ქართველი ეზრდება შენი სახით ქვეყანას. ბედნიერ მომავალს, ღვთის მფარველობას, სიკეთეს და სიყვარულს გისურვებთ!

შენი წარმატებებით ეამაყოს ოჯახს და ქვეყანას!

“სამტრედიის მაცნე”

სამტრედიავ, სამტრედიავ, მუდამ მზიანო...

“მგონია, ომ ალაც გავაჯეთე”

დიდი ხანია, რაც ქართული კულტურის ფენომენი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გასცდა. მუსიკის, მხატვრობის, თეატრის, კინოს, ცეკვის ლეგენდებმა შორს გაუთქვეს სახელი საქართველოსა და მის მიწაზე აღმოცენებულ უკიდეგანო ნიჭიერებას.

ცნობილი მოცეკვავე, ქორეოგრაფი, დიდი ბალერონი ვახტანგ ჭაბუკიანი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მსოფლიო აალაპარაკა ქართული ბალეტის კლასიკაზე.

სცენური ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს სახეობაში, რომლის შინაარსი საცეკვაო-მუსიკალური ფორმითაა გამოხატული, ჭაბუკიანმა სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა რეფორმატორის სახელი, რამეთუ სწორედ მას უკავშირდება საბალეტო პრაქტიკაში მამაკაცის როლისა და ფუნქციის გარდაქმნა, მეორე ხარისხოვნიდან ძირითად პოზიციაზე.

მცირეწლოვანი ეზიარა იგი ბალეტს და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მას. გამოზარდა ნიჭიერი, წარმატებული თაობები, შექმნა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა და დაუვიწყარი სახელი დატოვა თანამედროვეთა მახსოვრობაში.

ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრება, მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებით შეგვიძლია ორ ეტაპად დავყოთ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში არნახული აღმაფრენის, ხოლო შემდგომში ტკივილისა და მარტოობის წლებად.

მართალია, იგი არაერთი მნიშვნელოვანი დადგმის მთავარი გმირი, სოლო-შემსრულებელი გახლდათ, მაგრამ მისი როლების მრავალფეროვან პალიტრაში “ოტელო” ურყევლად ინარჩუნებს სკულპტურული სიდიადის სანიმუშო ადგილს.

ჭაბუკიანის უნაკლო, დახვეწილ აღნაგობას ადარებდნენ ანტიკური ხანის ჩამოსხმულ ქანდაკებას, მჩქეფარე ტემპერამენტს _ ვულკანის ამოფრქვევას, პლასტიკას კი მღელვარე ოკეანის ტალღებს, გოლიათის ძალას. მისი თაობის ბალერინათაგან ბევრს ერგო პატივი მაესტროსთან ეცეკვა.

“მაინც ვინ არის ვახტანგ ჭაბუკიანი? ჯადოქარი, სასწაული, რომლის არსი თვით მაღალი რანგის პროფესიონალებმაც ვერ ამოიცნეს, ვერ გაათვითცნობიერეს ჭაბუკიანის გენია არ ექვემდებარება ანალიზს. მას თავისი პოზები არასოდეს დაუხვეწია სარკის წინ. იგი ბუნებამ შეჰქმნა, ზენამ დაანალა ვახტანგს ენით აღუწერელი სილამაზე და ჰარმონიულობა. იდეალური, სრულქმნილია ჭაბუკიანის სხეული, არაჩვეულებრივ ზემოქმედებას ახდენდა მისი ყოველი მოძრაობა. როცა ის სცენაზე ჩნდებოდა, ყველა და ყველაფერი ცოცხლდებოდა. ბედნიერება იყო მისი ხილვა!” _ ვკითხულობთ ვერა წიგნაძის ჩანაწერებში.

გასული საუკუნის 70-იან წლებში მასაც, როგორც მრავალ სხვა მამულიშვილს, სახელოვნად განვლილი გზა არად ჩაუთვალეს. ოპერისა და ბალეტის მშობლიური თეატრიდან გაათავისუფლეს ვახტანგ ჭაბუკიანი. მოგვიანებით კი _ ვაი ქართველებმა მას თეატრის დაწვის მცდელობაც დასწამეს, რითაც სულიერად გატეხეს ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი.

საზოგადოებას არასოდეს აუყრია მასზე გული. ბევრს ჰყვებოდნენ ჭაბუკიანის არატრადიციულ ორიენტაციაზე, მაგრამ მაყურებელთათვის უმთავრესი მაინც მისი შემოქმედება იყო.

ვატანგ ჭაბუკიანი 1992 წელს, 82 წლისა გარდაიცვალა. მადლიერმა ხალხმა მას მთაწმინდის მიწაზე დაუვანა სამარადისო სამყოფელი, საიდანაც ის “ფრთებშესხმული” გადმოჰყურებს სრულიად საქართველოს.

ამ დღეებში 105 წელი სრულდება საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან.

ჯონის კაკაბაძე

ვულოცავთ!

მამა ათანასე (რუხაძეს) ვულოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, უფალმა დაგიფაროთ ყოველგვარი განსაცდელისაგან!

“სამტრედიის მაცნის” რედაქცია

ბატონ პაატა კოხრეიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ, გფარავდეთ უფალი.

“სამტრედიის მაცნე”

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა